ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 20 (25)

25 XI 1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იყვნენ იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა!

საქართველო
ჩვენი არის,
არვის მივსცეთ
ჩვენგან კიდე!



**მოსკოვი, კრემლი,**
**ლენინს! სტალინს!**

**თბილისზე საბჭოთა**
**ხელისუფლების**
**წითელი დროშა ფრიალებს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!**

სერგო ორჯონიკიძე

1921 წ. 25 თებერვალი

**დეპეშები ნომერში**

**ჯოჯოხეთის ბინადართ—**
**ლენინს! სტალინს!**

**თქვენი დროშა**
**ჩამოგდებულია!**

**თბილისზე დამოუკიდებელი**
**საქართველოს სამფეროვანი**
**დროშა ფრიალებს!**
**გაუმარჯოს**
**თავისუფალ საქართველოს!**

გაზეთ
„საქართველოს" რედაქცია

1990 წ. 14 ნოემბერი



# ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია როგორც პოეტი და ბელეტრისტი. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, ავტორია მრავალმხრივი ლიტერატურისმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, რისთვისაც ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-70-იან და 80-იან წლებში ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იან წლებში გამოსულმა „ოქროს საწმისმა", „საქართველოს მოამბემ", „საქართველომ", „მატიანემ" და სხვებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში.

ზვიად გამსახურდია საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმართველი.

1977-1979 წლებში ზვიად გამსახურდია იყო რეპრესირებული. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპიისპირეთის საპატიმროებში.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

# თენგიზ სიგუა

თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუა დაიბადა 1934 წლის 9 ნოემბერს სოფელ ლენტეხში, მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1957 წელს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით. 1957-59 წლებში მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. 1959-62 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტია. მისი დამთავრების შემდეგ მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ, დირექტორის მოადგილედ.

1989 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორად.

1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1988 წელს — სადოქტორო დისერტაცია. არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ბოლო წლებში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, არის მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის სათათბიროს წევრი. 1989 წელს აირჩიეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, 1990 წელს — ამავე საზოგადოების პრეზიდენტად. არის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

# აკაკი ასათიანი

აკაკი თორნიკეს ძე ასათიანი დაიბადა 1953 წლის 22 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1971 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1977 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მასწავლებლად, მთარგმნელად, რედაქტორად. ბოლო დროს მუშაობდა საქინფორმში — საინფორმაციო სააგენტო „საქართველოში" მთარგმნელად.

აქტიურად მონაწილეობს ეროვნული მოძრაობის ყველა ღონისძიებასა და აქციაში, არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე და „მრგვალი მაგიდის" წევრი.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

# ნემო ბურჭულაძე

ნემო პიერის ძე ბურჭულაძე დაიბადა 1946 წელს პედაგოგების ოჯახში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი საავტომობილო გზების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით, მსახურობს მიწათმოწყობის რესპუბლიკურ ინსტიტუტ „საქსახმიწპროექტში" პროექტის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

ნემო ბურჭულაძე საქართველოს ეროვნული ფრონტის — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტისა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდის" წევრია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშია 1966 წლიდან.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.



# მილოცვები

## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად გამსახურდიას

**გილოცავთ** არჩევას საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ და საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს მიერ თანამიმდევარი კურსის აღებას საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ. გისურვებთ ჯანმრთელობას და მტკიცედ დგომას ჩვენი ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე.

საქართველოს დიდი ბრძოლა აქვს წინ. დაე, ეს ბრძოლა ჩვენი სამშობლოს გამარჯვებით დამთავრდეს. დაე, უახლოესი წლები საქართველოს თავისუფლების აღდგენისა და მტკიცედ დაცვის წლები ყოფილიყოს!

**საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი.**
**საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე**
**ნ. ნათაძე.**

## საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ თენგიზ სიგუას

**გილოცავთ** დანიშვნას საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, გისურვებთ ჯანმრთელობას და გამარჯვებას თქვენზე დაკისრებულ მძიმე და საპატიო საქმეში.

**საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი.**
**საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე**
**ნ. ნათაძე.**

## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ აკაკი ასათიანს

**გილოცავთ** არჩევას საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, გისურვებთ ჯანმრთელობას და გამარჯვებას ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

**საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი.**
**საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე**
**ნ. ნათაძე.**

## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ნემო ბურჭულაძეს

**გილოცავთ** არჩევას საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას ჩვენი სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძოლაში.

**საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი.**
**საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე**
**ნ. ნათაძე.**

# ორი ვიზიტი „ყარაყორუმს“



ჯერ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის — ედუარდ შევარდნაძის „გაბედნიერების“ შესახებ მინდა გიამბოთ. უფრო სწორად, ერთი ძველი ამბავი მსურს შეგახსენოთ. 1981 წლის 5 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა „სამშობლოს“ „მაღალი“ ჯილდოები გადასცა პასუხისმგებელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს:

ვასილ ვასილის ძე კუზნეცოვს, ჯაბარ რასულის ძე რასულოვს, მიდჰატ ზაქირის ძე შაკიროვს, **მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს და ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს.**

ამ „ღირსახსოვარ“ დღეს მოხუცმა ლიონიამ აღიხუნა ხელთ „შპარგალკა“ და შეკრებილთ მიმართა შემდეგი სიტყვით: „ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მან თავი გამოიჩინა როგორც ქართველი კომუნისტების ნაცადმა ხელმძღვანელმა. ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, გაბედულება წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტისადმი მიდგომაში, ინიციატივა და ახლის გრძნობა, პრინციპულობა და პატიოსნება, აი, ის თვისებები, რომლებმაც მას ავტორიტეტი შეუქმნა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ.

**საქართველოში საქმე კარგად მიდის** და მეტად სასიხარულოა, რომ „საქართველოს კომპარტია ირაზმება ახალი წარმატებების მისაღწევად მე-11 ხუთწლედში“.

ღმერთმა აცხონოს ლიონია. არ უყვარდა მოხუცს სიმართლის ლაპარაკი, მაგრამ იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, რაც თქვა, სიმართლე იყო და, აი, რატომ.

საქართველოში საქმე ცუდად მიდიოდა. ქართველი საკუთარ სამშობლოში ხიზნად გრძნობდა თავს, არაქართველი კი მასპინძლად და ქვეყნის ბატონ-პატრონად.

პატრიოტებს ციხეებში ერეკებოდნენ, მამულის გამყიდველთ კი თბილ სავარძლებში ეპატიჟებოდნენ.

ერთი სიტყვით, საქართველოში ქართველთათვის საქმე ცუდად მიდიოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოსკოვს საქართველოს საქმე კარგად ჰქონდა მოგვარებული, ანუ საქართველოში საქმე მათთვის კარგად მიდიოდა...

ლეონიდ ილიჩი კმაყოფილი იყო. კმაყოფილმა გენერალურმა მდივანმა ამიტომაც დაუფასა ღვაწლი და გადასცა გმირის ორდენი საქართველოს თავკაცს.

„ნამგლისა და უროს“ ოქროს მედლისა და ლენინის ოქროს მედლის გადაცემისას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მილოცვის პასუხად გამოვიდა ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე. ბრეჟნევ-შევარდნაძის ერთურთთან მოფერება გუგულისა და მამლის ქების კლასიკური ნიმუში გახლდათ.

ჩვენი თავკაცი უფრო ნიჭიერიც იყო და ქვეშევრდომული მდგომარეობის გამო მეტი გარჯაც მართებდა. გაისარჯა კიდეც. გენერალურ მდივანს ისეთი ხოტბა აღუვლინა, რომ მომაკვდავ კაცს ერთი-ორი წლის სიცოცხლე, ვგონებ, მან აჩუქა...

„ღრმად პატივცემულო ლეონიდ ილიას ძევ! — დაიწყო და რა დაიწყო ბატონმა ედუარდმა, — **ყოველ ადამიანს ცხოვრებაში აქვს ყველაზე დაუვიწყარი რამ, რაც სამუდამოდ რჩება მის გულსა და მეხსიერებაში. ასეთი დაუვიწყარია ჩემთვის დღე, როცა თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ყრილობაზევე** (იგულისხმება XXVI ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა 23 თებერვლიდან — 4 მარტამდე ნ. გ.) **მომილოცეთ შრომის გმირის წოდების მონიჭება.**

მთელი ცხოვრება გამყვება, ვაჟკაცურად რომ ჩამომართვით ხელი, გულით რომ გადამეხვიეთ, კეთილი, გულითადი სიტყვები რომ მითხარით. ამ გულითადობით ერთხელ კიდევ გამოვლინდა, თუ რა ხალვრად არის შერწყმული თქვენში პარტიისა და სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებული ლიდერის, კომუნისტური მშენებლობის დიდი ორგანიზატორის, იმ ადამიანის უზენაესი მისია, რომელიც წყვეტს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უდიდეს პრობლემებს, და არაჩვეულებრივი ჰუმანურობა, ადამიანების მიმართ განსაკუთრებული კეთილგანწყობა, მათდამი რწმენა, თითოეულის მხარდაჭერის უნარი და კადრებისათვის მორალური სტიმულების მნიშვნელობის ღრმა გაგება.

ჯილდო, რომელიც თქვენ დღეს გადმომეცით, მთელი რესპუბლიკის ჯილდოა, რადგან იგი აგვირგვინებს ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის — ყველა ჩვენი მშრომელის თავდადებულ გარჯას.

და მთელი პარტიის სახელით აღვუთქვამ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, რომ **მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველო კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს საერთო-საკავშირო დოვლათში თავისი წვლილის გადიდების გზაზე.**

და კიდევ ერთი რამ, რაც უფრო მაღალია შეფასება, მით უფრო უძლიერდება კომუნისტს თვითკრიტიკულობის, თავმდაბლობის, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობის გრძნობა, დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. და რესპუბლიკის კომუნისტების სახელით **გაძლევთ მტკიცე პირობას: ამ პრინციპებს არასოდეს ვუღალატებთ!**

ჩვენ ყველანი განვიცდით ამ ისტორიულ დღეებს. თქვენი მოხსენება, ლეონიდ ილიას ძევ, ყრილობის გადაწყვეტილებანი უდიდესი კმაყოფილებით აღიქვეს საბჭოთა კომუნისტებმა, მთელმა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. **თქვენი იდეები, აზრები, ესოდენ ნათლად რომ ჩამოაყალიბეთ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, ახლა მთელ პლანეტაზე გავრცელდა.**

ნება მიბოძეთ, სულითა და გულით მოგილოცოთ სკკპ XXVI ყრილობის ტრიუმფით დამთავრება. თქვენ კვლავ ერთსულოვნად ხართ არჩეული ჩვენი პარტიის ცკ-ის გენერალურ მდივნად. თქვენ ხმა მოგცათ არა მარტო ყრილობამ, თქვენ ხმა მოგცათ კომუნისტების მთელმა 17-მილიონიანმა არმიამ, **მთელმა 260-მილიონმა საბჭოთა ხალხმა.**

და თქვენი მოთხოვნაა, რომ გამოვიჩინოთ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და მტკიცე, ნამდვილად კომუნისტური, შეგნებული დისციპლინა, რასაც უნდა შევუხამოთ ახლის დაუცხრომელი ძიება, აზრის ალმაფრენა, ინიციატივა. ყრილობის დამთავრებისას **თქვენი ბრძნული სიტყვა ჩვენ, მთელმა პარტიამ, მთელმა ქვეყანამ 80-იანი წლების გზის კეთილ, მამობრივ დარიგებად აღვიქვით.**

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

**თქვენთვის უდიდესი ბედნიერებაა და მთელი ცხოვრების მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა.** ნება მიბოძეთ, გისურვოთ ყოველივე, რასაც თქვენ ასე **გულუხვად უზიარებთ ადამიანებს: ბედნიერება და სიხარული — ყველა საბჭოთა ადამიანის საბედნიეროდ და სასიხარულოდ!**

დიდ მადლობას მოგახსენებთ“.

წამოვიდა ბატონი ედუარდი მოსკოვიდან საქრთველოსკენ. წამოვიდა გმირის ვარსკვლავით დამშვენებული მკერდით, წამოვიდა კმაყოფილი და ბედნიერი. დარჩნენ მოსკოვში ძლიერნი ამა სოფლისანი ასევე კმაყოფილნი და ბედნიერნი საქართველოს თავკაცის ერთგულებით...

**უკმაყოფილო და უბედური** იყო მხოლოდ ტელევიზორის ეკრანთან მიმჯდარი, ამ ამბების მხილველი ქართველი კაცი, რომელსაც ცარიელი ჯიბე და შეურაცხყოფილი ეროვნული გრძნობა ყოველ წუთს შეახსენებდა, რომ **საქართველოში საქმე ცუდად მიდის...**

●

გავიდა 9 წელიწადი და 9 თვე. 1990 წლის 16 ნოემბერს „ყარაყორუმს“ გაემგზავრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი **აკაკი ასათიანი.**

კიდევ კარგი, მოხუცი ლიონია (აცხონოს ღმერთმა...) კაი ხნის მიცვალებულია და საქართველოს წარგზავნილის გამოსვლას ვერ მოისმენდა, თორემ რაც გორბაჩოვსა და მის დარბაზს ასათიანმა უთხრა, ეს რომ ყურქებამიჩვეულ ბრეჟნევს გაეგონა, ინფარქტი დაარტყამდა და მისი ცოდვილი სულის განტევება ქართველებს დაგვბრალდებოდა. თქმით კი, აი, რა სთქვა ბატონმა აკაკი ასათიანმა:

„ყველგან სულ იმაზეა ლაპარაკი, რომ ყოველი ერი თავად უნდა განსაზღვრავდეს თავის ბედს, მას უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის უფლება. მაგრამ ამას რომ ამბობენ, რატომღაც გულისხმობენ იმ ხალხებს, რომლებიც **საბჭოთა კავშირში კი არა, მის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ.** ახლა დადგა მომენტი, როდესაც გაჩნდა შესაძლებლობა განხორციელდეს თავისუფალი არჩევანის უფლება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც. საქმე ეხება სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ჩვეულებრივ მას „ახალს“ უწოდებენ. კაცმა არ იცის, რატომ ეწოდება „ახალი“, ძველი ხომ მთლად თანასწორ და ნორმალურ პირობებში არ დადებულა. **ეს ხელშეკრულება ფაქტობრივად მიზნად ისახავს, ამ კავშირის შენარჩუნებას...**

ყველაფერი უნდა ითქვას ნათლად და დაუფარავად, რათა შემდეგ არ იყოს რაღაც გაუგებრობა და არასასურველი მოულოდნელობანი. **საქართველო, მით უმეტეს, ასეთ პირობებში, არ მოაწერს ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას იმიტომ, რომ იგი იურიდიულად არ შედის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში** იმ მიზეზების გამო, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ. საქართველოს ჰყავს პარლამენტი — უზენაესი საბჭო, რომელიც ერმა აირჩია და ამ პარლამენტმა მოგვანიჭა უფლებამოსილება გაგვეკეთებინა ეს განცხადება“.

**ინფარქტზე** რა მოგახსენოთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გორბაჩოვი არ გაბოროტდა. (მიხვდა რა პრეზიდენტი, რომ საქართველოში ქართველთათვის საქმე კარგად წავიდა, ანუ იმპერიისთვის ცუდად, იმპერატორმა დასჭექა):

„**მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ სახელმწიფოს დაქუცმაცების, ტერიტორიის გადაკეთების, ხალხთა საუკუნოვანი ურთიერთობის რღვევისა...** სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი ძირითადად მზად არის. ჩვენ უმოკლეს ვადაში წარვუდგენთ მას უზენაესი საბჭოს და რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს. **ნუ გვაშინებენ სუვერენიტეტის ახლად გამოჩეკილი მებრძოლები,** აი, რა გამოხატაო ხალხმა... ხალხს ჯერ უნდა დაეკითხო (ტაში). უკრაინაში ეს ყველაზე კრიტიკულ მომენტში გააკეთეს და სამოცდაათ პროცენტზე ნაკლები არ ყოფილან ისინი, ვინც მხარი დაუჭირა კავშირის შენარჩუნებას და განახლებას. ასევე ყველგან, **უკვე ვიღებ ინფორმაციას საქართველოდან, თუ რა აღელვება გამოუწვევია იქ განცხადებას, რომ წყვეტენ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ კავშირურთიერთობას.**

...საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება არმიის, სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პრობლემისადმი. არმია ხალხის პირმშოა. მე საგანგებოდ ვიმეორებ ამ ფორმულას, რომელიც წლობით იყო ჩვენი ორიენტირი და ერთხელ კიდევ ვთხოვ უზენაეს საბჭოს, დაუყონებლივ მიიღოს კანონები, რომლებიც საშუალებას მისცემს არმიის შემადგენლობას თავისი დანიშნულება და უზრუნველყოს მათი პრესტიჟი, ვინც დგას ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების სადარაჯოზე“.

ერთი სიტყვით, ედუარდ შევარდნაძე მოსკოვიდან წამოვიდა **პატიოსანი, გაბედული, პრინციპული, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი მებრძოლის ეპითეტებითა და გმირის ორდენით დამშვენებული.**

**ედუარდ შევარდნაძე წამოვიდა გაბედნიერებული...**

**ოღონდ ეგ იყო, ტელეეკრანთან მიმსხდარი ქართველობა გახლდათ გაუბედურებული...**

აკაკი ასათიანი მოსკოვიდან წამოვიდა **„სუვერენიტეტის ახლად გამოჩეკილი მებრძოლის“ იარლიყით „გაუბედურებული“.**

**ოღონდ ეგ იყო, ტელეეკრანთან მიმსხდარი ქართველობა გახლდათ გაბედნიერებული, მადლიერი და გახარებული.**

ახლა შენ განსაზღვრე, ჩემო მკითხველო, რა სჯობს, ყაენის ჯილდო თუ საკუთარი ხალხის მადლიერება?

ჩემის მხრივ კი დავსძენ —

როცა არ აღმოჩნდება ჩვენს შორის ერთი ქართველიც კი, რომელიც ყაენის ჯილდოს დახარბდება, მხოლოდ მაშინ ვიქნებით ღირსნი თავისუფლებისა, მაშინ, საერთოდაც აღარ მოგვიწევს წასვლა ყარაყორუმს.

ნოდარ ფრიბალაშვილი



ბებერი მეზურნეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ოსი სეპარატისტები არ იშლიან ქართველი ხალხის წინააღმდეგ მტრულ გამოხდომებს. ვერ გაურჩევიათ მტერი და მოყვარე. მამას ივიწყებენ და მამინაცვლის მზეს ფიცულობენ. ეს რომ ასეა, ქვემოთ წარმოდგენილი პუბლიკაციებით კიდევ ერთხელ დარწმუნდებით.

პირველ პუბლიკაციაში საუბარია იმის შესახებ, თუ რა დღეში ჩააგდეს ოსები რუსეთის „ისპრავნიკებმა“.

მეორე პუბლიკაცია კი იმაზე მოგითხრობთ, თუ როგორ ებრძოდნენ და აწიოკებდნენ ხამაჩაბლოში ჩამოსახლებული ოსები ქართველებს...

# რუსი „ისპრავნიკის“ უკანონობანი

ვიდრე მოვიდოდა სოფ. ქამურში, შეიპყრო ოსები, რომლებიც აიძულა ექამათ იმ ვარცლიდან, საიდაც ჩვეულებრივ იკვებებიან ძაღლები. მან ვარცლში ჩაასხა შრატი, ჩაყარა მასში დამჩრჩვალი კატები, ზედ მიაყოლა ადამიანის განავალი.

ამის შემდეგ იმავე ოსებს გადაუწვა რვა სახლი, რის შედეგადაც განადგურდა 300 კოდი ქერი.

ივლისის თვეში კაპიტან-ისპრავნიკის მიერ ხამ სოფელში გაგზავნილი იყვნენ ალმასრულებლები და კაზაკები. მათთვის მუხრანში სახინიბოების ასაშენებლად და აგრეთვე სხვა სახაზინო საჭიროებისათვის წამოყვანილია 850 ურემი, 261 მუშახელი, დახარჯულია 23 კოკა ღვინო, 50 კოდი ქერი, 147 ფრთა ქათამი.

მათი (საერობო პოლიციის), გამოგზავნილი კაცის მიერ ამოღებულია 2 მან. 20 კაპ. ვერცხლის ფული, 7 გირვანქა ძროხის კარაქი და 1 გოჯი. აგრეთვე ამ სოფლებიდან წაღებულია 34 ურემი მუხრანში თივის ჩასატანად, რაც, აგრეთვე, არ იქნა ანაზღაურებული.

ამიტომ, ჩვენ ვხედავთ მის ასეთ საქციელს და გირჩევთ, კვლავაც რომ არ ჩაიდინოს მსგავსი რამ, არ გამოგზავნოს მან (კაპიტან-ალმასრულებელმა) ჩვენზე მსგავსი დაბეზღება, როგორსაც ადგილი ჰქონდა 1804 წლის 27 მარტს, ან რომ არ ჩავთვალოთ ეს მოხსენება ცილისწამებად, გთხოვთ, ინებოთ და გამოგზავნოთ თქვენი სანდო ადამიანი, რომელიც გამოარკვევს ყველაფერს, ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით.

ხელი მოაწერა თავადმა
**სოლომონ ერისთავმა.**

**კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ შეკრებილი აქტები**

**ტომი II**
**თბილისი, 1868 წელი.**
**აქტი № 599 გვ. 305**

# შიდა ქართლის უახლესი ისტორიის სისხლიანი ფურცლები

**შიდა** ქართლის — რომლის ტერიტორიაც 1922 წლიდან იოსებ სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის წყალობით „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქად გამოცხადდა — ტრაგედია ბევრად ადრე დაიწყო. უკვე 1918 წლის 26 მაისიდან — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან — იქმნებოდა ოს ექსტრემისტთა რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, არბევდნენ და ხოცავდნენ მათ. ანდაზაა — „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“, და შეიარაღებული ოსი ბანდიტებიც ქართულ მოსახლეობას დასარბევად და ამოსაწყვეტად თავს ესხმოდნენ გვიან ღამით.

ოსი ბანდიტური რაზმების აღვირახსნილი ტერორის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ. დაინტერესებულ მკითხველს მივუთითებ, რომ უამრავი ფაქტები ოსი ექსტრემისტების ანტიქართულ სისხლიან თარეშზე შიდა ქართლში უხვადაა წარმოდგენილი მაშინ (1918-21 წ.წ.) თბილისში გამომავალ, როგორც ქართულ, ისე რუსულ, სომხურ, თურქულ და გერმანულ („კავკაზიშე პოსტე“ — გამოდიოდა თბილისში 1918 წელს) პერიოდულ გამოცემებში.

ოსთა აღვირახსნილმა თარეშმა მაშინ ისეთი შემზარავი გაქანება მიიღო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახლადშექმნილი ხელისუფლება იძულებული გახდა შიდა ქართლში ოსთა ტერორიზმის ალსაკვეთად გამოეყო და გაეგზავნა სახარისო შენაერთები გენერალ კონიაშვილის სარდლობით (შემდეგში იქ დამატებით გაიგზავნა სახალხო გვარდიის რაზმებიც, გვარდიის შტაბის უფროსის ვალიკო ჯუღელის მეთაურობით). ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველივე ეს ხდებოდა 1918-19 წლებში, ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის უმძიმესი [illegible]. ეს ის დრო იყო, როდესაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გზაგახსნილმა თურქეთის არმიამ გადმოლახა ახლადშექმნილი რესპუბლიკის სამხრეთ დასავლეთ საზღვარი. რის შედეგადაც დაიკავეს ახალციხის მაზრა და გურია-აჭარის რეგიონი ჩოლოქამდე. იმავდროულად — ტუაფსეს მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ლოკალური სამხედრო ოპერაციები განახორციელა დენიკინის არმიამ. ასეთ უმძიმეს ვითარებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ჯარის ნაწილები მოეხსნა გარეშე მტრების მოსაგერიებლად განკუთვნილი სამხედრო შენაერთებიდან — შიდა ქართლში ოსებისაგან გაჩაღებული ტერორიზმის სალიკვიდაციოდ.

თითქმის დღევანდლამდე, შიდა ქართლში ოს ექსტრემისტთა ეს ანტიქართული ბანდიტური თარეში, მედროვე „ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის“ მიერ წარმოდგენილი იყო როგორც რევოლუციური აჯანყება „წვრილბურჟუაზიული, ანტიხალხური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ“. ფაქტიურად კი, როგორც ახლა უკვე კარგადაა ცნობილი, ეს „აჯანყება“, ისევე, როგორც „დუშეთის აჯანყება“, „ლეჩხუმის აჯანყება“ და ა. შ. ორგანიზებული იყო ქართველ ბოლშევიკთა და საბჭოთა რუსეთის მიერ. დენიკინელებისაგან ვლადიკავკაზის დატოვების შემდეგ ბოლშევიკთა შტაბი სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით ვლადიკავკაზში მოკალათდა. აქ ჩრდილოეთ კავკასიელ ოსებისაგან იქმნებოდა და იარაღდებოდა მრავალრიცხოვანი რაზმები, რომლებსაც ორჯონიკიძე აგზავნიდა „ჟორდანიას მთავრობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად.

მათ რუსი და ქართველი ბოლშევიკები აღუთქვამდნენ „ჟორდანიას დამხობის“ შემდეგ საქართველოში სავარგულების მიცემას. შემდეგში (გასაბჭოების შემდეგ) სერგო ორჯონიკიძემ, რა თქმა უნდა, იოსებ სტალინის კურთხევით „ვაჟკაცურად“ შეასრულა თავისი დაპირება და ძირძველ ქართულ კუთხეში, შიდა ქართლის ტერიტორიაზე შეუქმნა ოსებს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. თუ 1920 წლის დამლევს და გასაბჭოების წელს შიდა ქართლში შედარებით სიმშვიდე იყო, 1922 წლიდან, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის მომენტიდან, კვლავ აგორდა ოს ექსტრემისტთა ტერორის ტალღა.

ოსი ექსტრემისტების თარეშს აშკარად წარმართავდნენ სერგო ორჯონიკიძის ვლადიკავკაზელი ოსი თანამებრძოლები, რომლებიც მათმა შეფმა უკვე ახლად გამომცხვარი ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციაში წამოასკუპა. მათ, პირველ ყოვლისა, ცხადია, მიზანში ამოიღეს უხვმოსავლიანი, ნოყიერი სავარგულების მქონე შეძლებული ქართული სოფლები. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ოქონას (რომელსაც ოსებმა შემდეგ ზნაურის რაიონი უწოდეს) და განსაკუთრებით ცხინვალის რაიონები 1922 წლამდე წმინდა ქართულ რაიონებს წარმოადგენდნენ (საკუთრივ ცხინვალში 1922 წლისათვის დადასტურებულია ოთხად-ოთხი ოსური ოჯახის არსებობა). ერთ-ერთი მთავარი უბედურება ამ დროოს ის იყო, რომ 20-იან წლებში არსებობდა ერთი უკუღმართი დადგენილება, რომლის ძალითაც ე. წ. „წითელ პარტიზანებს“ ნება ჰქონდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი პირადი იარაღი (შაშხანა, პისტოლეტი), რომლითაც ისინი „პარტიზანულ რაზმებში“ იბრძოდნენ. ამრიგად, 20-იან წლებში (როდესაც სერგო ორჯონიკიძემ „სამხრეთ ოსეთი“ შექმნა), ოსი ექსტრემისტი ბანდიტები, როგორც იტყვიან, კბილებამდე შეიარაღებულნი აღმოჩნდნენ. ქართულ მოსახლეობას კი, უკეთეს შემთხვევაში, მოძველებული სანადირო თოფები თუ გააჩნდა. ამიტომ ოს ექსტრემისტებს ყველა საშუალება ჰქონდათ ქართული მოსახლეობის მიმართ თავისუფლად განეხორციელებინათ ყოველგვარი ძალადობა. მთავარი ის იყო, რომ მაშინაც, ისევე, როგორც ახლა, ოსი ექსტრემისტები ყოველგვარ ძალადობას ქართული მოსახლეობის მიმართ ატარებდნენ სრული დაუსჯელობის ატმოსფეროში. ამიტომ იყო, რომ ქართული მოსახლეობა ან ძირიანფესვიანათ იყრებოდა და გამორბოდა, ან, რამდენადაც პარადოქსულად უნდა გვეჩვენოს ეს ფაქტი დღეს — ოსდებოდა. დიახ, ოსდებოდა (ამას წინათ აღწერილი იყო პრესაში გაოსებული ილურიძეების ისტორია, ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ელბაქიძეები ელბაქიძეების მაგიერ, კარსანოვები კარსანიძეების მაგიერ და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს).

მე ბევრჯერ ვყოფილვარ ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“. მქონია კონტაქტები ოსებთან. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, ეს კონტაქტები გახისაზღვრებოდა „ჩვენებური ოსებით“ — ე. ი. იმ ოსებით, რომელთა წინაპრებიც შიდა ქართლში ჩამოსახლებულნი არიან მე-19 საუკუნეში. ეს „ჩვენებური ოსები“ ყველა ორენოვანია (ოსურთან ერთად ისინი თავისუფლად ფლობენ ქართულს). მათი გვარებიც არაიშვიათად დღესაც ქართული ტრანსკრიფციით არის წარმოდგენილი, (ბესტავაშვილები, ტეირანაშვილები, თედიაშვილები და ა. შ.).

გასაბჭოების შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულმა (და მათმა შთამომავლებმა) ოსებმა, რა თქმა უნდა, ქართული არ იციან და გვარებიც ყველას რუსული ტრანსკრიფციით აქვთ (თუ „ჩვენებური ოსი“, მაგალითად, ჩოჩიშვილად იწერებოდა, ოსი პირიქით — ჩოჩიევად). ამ კონტაქტების შედეგად შემიძლია დავადასტურო, რომ „ჩვენებურ ოსებისთვის“, გარდა იმისა, რომ კარგად იციან ქართული, რაც მთავარია, ქართული მოსახლეობის მიმართ მეგობრული განწყობილების მეტი არაფერი შემიმჩნევია. (ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ყოფილი ლენინგორის — ახლა ახალგორის რაიონის ოსური მოსახლეობა, რომელიც წარმოდგენილია „ჩვენებური ოსებით“).

შიდა ქართლის ტრაგიკული ბედის შესახებ მე ბევრი მსმენია ბავშვობის წლებიდანვე. საქმე ისაა, რომ მამაჩემი, ვლადიმერ ხვედელიძე (ხარკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ექიმი), ახლო მეგობრობით იყო დაკავშირებული შიდა ქართლის ბევრ მკვიდრთან (როგორც ქართველებთან, ისე არაქართველებთან), ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ ჩვენს ოჯახში. ამიტომ, ბავშვობიდანვე მსმენია ხოლმე ჩემს მშობლებთან შიდა ქართლის ამ მკვიდრთა საუბრები — მათი კუთხის ტრაგიკულ ბედზე, ოს ექსტრემისტთა დაუნდობელ ტერორზე ქართული მოსახლეობის მიმართ. ამ მოსმენილი ეპიზოდებიდან ჩემთვის დღემდე განსაკუთრებით ამაზრზენია მოგონება ძირძველი, მრავალკომლიანი და ხალხმრავალი ქართული აყვავებული სოფლის თიღვას ტრაგიკულ ბედზე.

„თიღვის ოპერაცია“ ოს ექსტრემისტებს განუხორციელებიათ ღამით — ისე, რომ მთელი სოფელი დედიანბუდიანად ამოუწყვეტიათ. აკვანში ჩვილი ბავშვებიც არ დაუნდვიათ, რის შემდეგაც გვამები, როგორც ჩანს, სადღაც წინასწარ გათხრილ ორმოებში დაუფლიათ. ქართველებისაგან ასეთი ვერაგული გზით განთავისუფლებული სოფელი სასწრაფოდ „შეუვსიათ“ ოსური მოსახლეობით.

როდესაც სერგო ორჯონიკიძეს თიღვის ბედზე ჩამოუგდეს საუბარი, მას უხეშად განუცხადებია: ეს სოფელი მენშევიკების ბუდე (?!) იყო და ახია მათზე, რაც მოუვიდათო...

**გოლა ხვედელიძე,**
**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი**

# „მი უჟე ნე ს ვამი გოსპოდინ პრეზიდენტ!..“

**საკავშირო** უზენაესი საბჭოს დეპუტატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ აფხაზი არძინბასა და ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლის გამოსვლებს 16 ნოემბრის საღამოს სხდომაზე.

ბ-ნ არძინბას, რასაკვირველია, არაფრად ეჭაშნიკა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ აკაკი ასათიანის აბსოლუტურად უკომპრომისო გამოსვლა და არაორაზროვნად განაცხადა: თუკი საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლობას გამოაცხადებს, წინდაწინვე ვთხოვთ პრეზიდენტსა და უზენაეს საბჭოს, აფხაზეთი ფედერაციის ქვეშევრდომად მიითვალონო. ტყუპისცალივით ჰგავდა ამ გამოსვლას სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლის სიტყვა.

საარაკოა პირდაპირ: როცა საქართველო ითხოვს კავშირიდან გასვლას, ამას შეყენებული ჩახმახით ხვდებიან, ხოლო, როცა აფხაზეთი საქართველოდან გასვლას მოითხოვს, მქუხარე ტაშით ეგებებიან!.. რატომ ხდება ასე?! ცენტრი ერიდება პირდაპირ ჩარევას, მსოფლიოში რას იტყვიანო; მაგრამ, თუკი აფხაზეთი მიითვისებს ჩვენს მიწა-წყალს, იცოცხლე, უმალვე შეეზიარება მას! (ყოველ შემთხვევაში, საგარაკო ნაკვეთს პრეზიდენტს უხვად მიუზომავენ!).

ორიოდე სიტყვა იმის თაობაზეც, თუ რატომ ეხამუშათ ბატონ ასათიანის გამოსვლაში კვებეკის ანალოგია. თუკი უმდიდრეს კანადაში მცხოვრები კვებეკელი ფრანგების პრეტენზია ულოგიკოა, საქართველოში ჩრდილოეთ (ანუ ნამდვილი) ოსეთიდან ჩამოსახლებულთა პრეტენზიებს რანაირად შეიძლება გააჩნდეს ლოგიკა?! დიახ, ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას შიდა ქართლში შემოფარებული ოსების პრეტენზია. სიმართლე თუ გინდათ, ანეკდოტია პირდაპირ!..

რატომ არავის მოსდის აზრად (ცენტრს ვგულისხმობ), რომ ასეთი, უკაცრავი პასუხია, „პრეტენზიების“ მხარდამჭერით, თვითონვე უთხრიან ძირს საკუთარ ავტორიტეტს! განა იმდენი მიხვედრის უნარი არ გააჩნიათ „მძლე კავშირი, ძმურის“ მომხრეებს, რომ „სამხრეთ“-ოსეთელი დეპუტატის დემაგოგიურ წიაღსვლაში ვერ ერკვევიან?! დეპუტატმა ხომ გასაგები რუსულით განაცხადა: სწორედ საბჭოთა ხელისუფლებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ, სამხრეთელი ოსები იმას, რომ შევინარჩუნეთ მშობლიური ენა, ადათ-წესები და ტრადიციებიო!.. კი მაგრამ, შე დალოცვილო, საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ ჩრდილოეთ ოსეთში არ შემოაბიჯა? მაშ რატომ ერთი ოსური საშუალო სკოლაც არ გააჩნიათ ჩრდილოელ ოსებს?!

განა მართლა არ იციან ცენტრის მხარდამჭერმა დეპუტატებმა, რომ აფხაზეთის მთელი ტერიტორია ისეთივე ქართული მიწაა, როგორც, ვთქვათ, სუზდალისა — რუსული? ნუთუ მათ კანონიერად მიაჩნიათ, რომ, თითქოს, მეათე საუკუნეში ქართველ ხუროთმოძღვარს იმიტომ აეგოს უბრწყინვალესი ქრისტიანული ტაძარი — ბედიის მონასტერი, რომ ათი საუკუნის შემდეგ აფხაზებს მიეთვისებინათ? ანუ მათ, რომლებსაც საკუთარი დამწერლობაც არ გააჩნდათ და მხოლოდ მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე შეუქმნეს ანბანი დ. გულიამ და ქ. მაჭავარიანმა!.

ყოვლად პატივცემული საბჭოეთის პრეზიდენტი სიტყვით ყოველთვის გამორჩეული დემოკრატი გახლავთ, მაგრამ, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, საქმით თანდათან შორდება დემოკრატიას. საინტერესოა, რომელ ოფიციალურ საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით განაცხადა მან ასეთი რამ — თითქოს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებს რესპუბლიკაში მძაფრი მღელვარებანი გამოეწვიოს?! კერძოდ, ვინ იმღელვარა დიდად საქართველოში? თუ მაინცდამაინც, ალბათ, ისევ და ისევ აფხაზებმა და ოსებმა. მერედა, რა ვქნათ ახლა ქართველებმა, როგორ მოვიქცეთ? ქუჩებში მიტინგები გავმართოთ და მოვითხოვოთ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა?

თუ მართლა გაწყრა ღმერთი და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი რეფერენდუმის მეშვეობით გადაგვაწყვეტინეს, 28 ოქტომბრისა და 11 ნოემბრის გამთენებელი ხალხი, გვწამს, არც მაშინ გამოიჩენს დოყლაპიაობასა და უგუნურობას — არც ერთი ქართველი არ მისცემს ხმას კვლავ კავშირში დარჩენას, მაგრამ აფხაზთა და ოსთა უმეტესობა რომ წინააღმდეგი იქნება საქართველოს თავისუფლებისა, ამას გრაკალის მკითხავი არ სჭირია!..

ნურავინ იფიქრებს, რომ საგანგებო წინასარეფერენდუმო კამპანიას წამოვიწყებთ. არავითარ შემთხვევაში!.. ერთადერთი, რასაც ყველას გასაგონად განვაცხადებთ, ალბათ, ის იქნება, რომ პრესაში გამოვაქვეყნებთ ყველას სახელსა და გვარს, (ე. ი. ეროვნებასაც), ვინც კი საქართველოს დამოუკიდებლობას წინ აღუდგება.

დიახ, დიდად გვატკინა გული ბატონი გორბაჩოვის აღნიშნულმა სიტყვებმა. თუმცაღა თავს იმით ვინუგეშებთ, რომ იმპერიის პირისპირ მარტონი არა ვართ, რომ შეუძლებელი იქნება ერთდროულად აღმართონ ხელი უკრაინის, ბელორუსიის, მოლდოვას, ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის (იქნებ რსფსრ-ს), საქართველოს წინააღმდეგ!..

ბარემ ისიც დავძინოთ, რომ უკვე შეუძლებელია ხელმწიფის შესაფერისი დარბაისლური პატივისცემით მოეკიდო იმ ადამიანის სიტყვებს, რომელიც, მიუხედავად საგანგებო მცდელობისა, მაინც ვერ ახერხებს შუბის ხალთაში დამალვას. იგი იმ ექსკურსიამძღოლს მოგვაგონებს, ოთარ იოსელიანის გახმაურებულ ფილმ „გიორგობისთვიდან“, რომელიც, როგორც კი დაინახავს, მისი ჯგუფის წევრთა გარდა, ვიღაც სხვასაც წასცდა ხელი ღვინის ჭიქისაკენ, შეშფოთებული შესძახებს — „ა ეტო ტოვარიშ ნე ს ნამი!“

და, მი უჟე ნე ს ვამი გოსპოდინ პრეზიდენტ!!!

**მიხო ზარნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცრუის მოჯადოებულ წრეში

## ანუ როგორ ვერ გაიღვიძეს „გრიშა ბიძიებმა"

**ფაქტია**, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ე. წ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების პროცესში სრული ქაოსი სუფევს.

„სკკპ ისტორია" და მისი უდღეური მემკვიდრე „პოლიტიკური ისტორია" საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიას ემსახურება. ამას კარგად გრძნობს ჩვენი სტუდენტობა, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე წელია იბრძვის მისი სწავლების წინააღმდეგ.

სტუდენტობამ იგრძნო და საჯაროდ განაცხადა ის, რაც ჩვენ, მათმა ლექტორებმა დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ შესაშური მონდომებით ვაგრძელებდით ისტორიის გლობალური მასშტაბებით ფალსიფიკაციას, სტუდენტი ახალგაზრდობისათვის (და მთელი საზოგადოებისათვისაც) თვალში ნაცრის შეყრას. ვაგრძელებდით მანამდე, სანამ სტუდენტობამ მასიურად არ გამოთქვა პროტესტი სკკპ ისტორიის სწავლების წინააღმდეგ. ეს მოვლენა ათეული წლების მანძილზე მწიფდებოდა. მახსოვს, როგორ ვამცირებდით, აბუჩად ვიგდებდით სტუდენტთა აუდიტორიას, ვამცირებდით საკუთარ ღირსებასაც, როცა ლექციებს ვუკითხავდით თემებზე: ბრეჟნევის „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი". კიდევ უფრო სამარცხვინო ის იყო, რომ ამ თემებზე სტუდენტს სემინარი და კონფერენციისათვის მოხსენება უნდა მოემზადებინა. ალბათ უკვე სამარცხვინოც კი აღარ შეიძლება ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ სკკპ ისტორიის კურსის მომზადებისას, ასევე სემინარულ მეცადინეობაზე, სტუდენტს უნდა ეხელმძღვანელა ბრეჟნევის მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევით, ბრეჟნევის, სუსლოვისა და ჩერნენკოს სიტყვებითა და გამოსვლებით; ვაკრიტიკებდით სტალინის პიროვნების კულტს და იმავდროულად ერთგულად ვემსახურებოდით ბრეჟნევის კულტის შექმნის საქმეს. ვუმტკიცებდით სტუდენტებს, რომ ფინეთისა და პოლონეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წელს პროგრესული მოვლენა იყო, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს არ შეესაბამებოდა მშრომელთა ინტერესებს.

ეს მოკლედ იმის შესახებ, რაც ერთი შეხედვითაც ნათელი იყო. მაგრამ ხომ იყო ისტორიის ფალსიფიკაციის თვალსაზრისით ნაკლებად თვალში საცემი სალექციო თემებიც, სახელდობრ, დიდი გულმოდგინებით ვაკრიტიკებდით ბერნშტეინს, კაუცკის, ბაკუნინს, სტრუვეს, მარტოვს, ტროცკის, ბუხარინს კამენევს, ზინოვიევს და მრავალ სხვას ისე, რომ მათი ნაშრომები თვალითაც არ გვენახა. თუ რაიმე ვიცოდით ამ მოღვაწეთა შეხედულებების შესახებ, ისევ და ისევ ლენინის ნაშრომებიდან, სტალინისეული „მოკლე კურსიდან" და სკკპ ისტორიის ოფიციალური სახელმძღვანელოებიდან. სტუდენტებს კი არა, ჩვენც გულმოდგინედ გვიმალავდნენ ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში ბიბლიოთეკების სპეცფონდებში საიმედოდ ჩაკეტილ ლიტერატურას. არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ პარტიებს, პოლიტიკურ მიმდინარეობებს ვატარებდით „კრიტიკის ქარცეცხლში". თუმცაღა მათ პროგრამებსა და წესდებებსაც კი არ ვიცნობდით. ინფორმაციის ერთადერთ წყაროს ისევ ლენინის ნაშრომები და „მოკლე კურსი" წარმოადგენდა. თავისთავად ცხადია, სტუდენტთა ნაწილი გრძნობდა ლექტორის მსჯელობის ალოგიკურობას, კარგად ხედავდა, რა ჭაპანწყვეტით ვახერხებდით მთელი რიგი პრობლემების მიფუჩეჩებას, გვერდის ავლას. არქივებისა და ბიბლიოთეკების სპეცფონდებში დაცული მასალების მიუწვდომლობის გამო სტუდენტობა მაშინ ბოლომდე ვერ აღიქვამდა ვერც ისტორიის გაყალბების ცალკეულ ფაქტებს და ვერც საერთო მასშტაბებს. გვრცხვენოდა (ზოგიერთ ჩვენგანს მაინც!) ჩვენი სტუდენტებისათვის თვალის გასწორება, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ჩვენს მდგომარეობას, ეკიდებოდნენ მანამ, სანამ მოთმინების ფიალა არ აივსო, სანამ **სავსებით აუტანელი არ გახდა სკკპ ისტორიის ლექცია-სემინარებზე დასწრება.**

80-იანი წლების შუა ხანებიდან ოფიციალური ინსტანციების ნებართვით დაიწყო არქივებისა და ბიბლიოთეკების სპეცფონდებში დაცული მასალების მცირე ნაწილის პუბლიკაცია. ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სტუდენტობას გაეკეთებინა დასკვნა: **ის პროგრამა და სახელმძღვანელოები, რომლითაც უმაღლეს სასწავლებლებში სკკპ ისტორიას ასწავლიდნენ, წარმოადგენდა ისტორიის გაუგონარი მასშტაბებით გაყალბების ნიმუშს.** იმის კვალობაზე, რაც უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა ადრე საიდუმლოდ დაცული მასალები, სულ უფრო ძლიერდებოდა სტუდენტობის მოძრაობა სკკპ ისტორიის სწავლების წინააღმდეგ.

გამოსავალი „ზემოთ" იმაში იპოვეს, რომ სკკპ ისტორიის ნაცვლად შემოიღეს ახალი კურსი — „XX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორია". დამტკიცდა შესაბამისი პროგრამაც. არარუსი ერთვნების სტუდენტთა „დამშვიდების" მიზნით ცენტრმა ნება დართო რესპუბლიკებში უმაღლესი სასწავლებლების პროგრამაში შეეტანათ ზოგიერთი ცვლილება — ცალკეული თემებისათვის დაემატებინათ ადგილობრივი მასალები. „XX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის" კურსის პროგრამა მოკლედ ასე შეიძლება შევაფასოთ: **პროგრამა აშკარად ორი ხელით არის ნაწერი.** ერთი ხელი პროგრამაში ამკვიდრებდა ეპოქის მოთხოვნით გამოწვეულ სიახლეს, მეორე ხელი, — სტალინურ-ბრეჟნევული ეპოქის ჯერ კიდევ ძალაშენარჩუნებული ოფიციოზი, — დაჟინებით შლიდა ამ სიახლეს და ახალ პროგრამაში უცვლელად გადმოჰქონდა სკკპ ისტორიის ძველი პროგრამის მთელი რიგი ადგილები. მოსკოვიდან მიღებული პროგრამა ხომ უვარგისი იყო, კიდევ უფრო უარესი გამოდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის კათედრაზე შემუშავებული პროგრამა. აშკარაა, რომ მისი შემდგენლების თეორიული ცოდნა მხოლოდ „მოკლე კურსსა" და სტალინის ნაშრომების კრებულს — „ლენინიზმის საკითხებს" ემყარებოდა.

ასეთი პროგრამის შედგენა, მეტი რომ არ ვთქვათ, დანაშაული იყო საკუთარი სინდისის, სტუდენტობისა და მთელი საზოგადოების წინაშე. არადა, იგი რეკლამირებული იყო როგორც დიდი სიახლე, როგორც კრიზისიდან გამოსავალი. პროგრამა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მის შემდგენლებს ყურმოკვრითაც არ ჰქონდათ გაგონილი საბჭოთა იმპერიასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბოლო წლებში დატრიალებული ამბების შესახებ. სტუდენტობამ მომხდარი ცვლილება ასე შეაფასა: **შეიცვალა საგნის სახელწოდება. მისი შინაარსი კი იგივე დარჩა.** მართალი იყო თუ არა ასეთი კატეგორიული შეფასება? ჩემი აზრით, სავსებით. განსაკუთრებით აუტანელი იყო სემინარებზე მუშაობა. კათედრის წევრთა იმ ნაწილმა, რომელთაც სემინარული მუშაობის გეგმები შეადგინეს, შესაშური ერთგულება გამოიჩინეს ლენინის თეორიული მემკვიდრეობისადმი. სტუდენტებს კვლავაც გულმოდგინედ უნდა გაეზუთხათ მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაშრომები. ამის გამო იყო, რომ სტუდენტობამ თბილისის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მასიურად დასტოვა აუდიტორიები.

1990 წლის იანვარში უმაღლესმა სასწავლებლებმა მიიღეს ახალი საგნის პროგრამის პროექტი. ახალ საგანს ეწოდებოდა „XX საუკუნის პოლიტიკური ისტორია". სანამ პროგრამა მოსკოვიდან თბილისამდე მოაღწევდა, ცენტრში მიუღიათ გადაწყვეტილება, საგნის სახელწოდება ასე დაეზუსტებინათ: „პოლიტიკური ისტორია". ახალი პროგრამა მისი წინამორბედისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი უკვე **ერთი ხელით არის დაწერილი** — სტალინურ-ბრეჟნევული პერიოდის ოფიციოზის ხელით და უძრაობის წლებში შედგენილი „სკკპ ისტორიის კურსის" პროგრამისაგან განსხვავებულს, არაფერს შეიცავს. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ მისი სწავლება ფაქტობრივად ჩაიშალა.

საქმეს ვერც „პოლიტიკური ისტორიის" საკავშირო პროგრამის მიხედვით შედგენილმა საუნივერსიტეტო პროგრამამ უშველა. აქა-იქ საქართველოს ისტორიის საკითხების ჩამატებამ, ასევე სხვა კოსმეტიკური ხასიათის ცვლილებებმა და დამატებებმა ახალი საგანი პოპულარული ვერ გახადა უნივერსიტეტის სტუდენტობისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ისტორიის კათედრაზე სადღეისოდ შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევის რამდენიმე გზა დაისახა: 1) პოლიტიკური ისტორიის კათედრის ბაზაზე შეიქმნას საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა და, ამრიგად, ვასწავლოთ საგანი „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია"; 2) „პოლიტიკური ისტორიის" ნაცვლად შემოვიღოთ ახალი სასწავლო დისციპლინა „XX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორია"; 3) ვასწავლოთ ის საგანი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს მოსკოვი, ე. ი. „პოლიტიკური ისტორია"; 4) ახალ სასწავლო დისციპლინად დავამკვიდროთ „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე".

პოლიტიკური ისტორიის კათედრის ბაზაზე საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის შექმნა და „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სწავლება, მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული საქართველოს ისტორიის კათედრისა და ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ. სპეციალისტთა აზრით არავითარი საჭიროება საქართველოს ისტორიის უკვე არსებული ერთი კათედრის ბაზაზე ორი კათედრის შექმნისა დღეს არ არსებობს. ასევე მიუღებლად იქნა მიჩნეული პოლიტიკური ისტორიის კათედრის მიერ ახალი სასწავლო დისციპლინის — „XX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის" — სწავლება. აქვე იმასაც დავძენთ, რომ დღეს პოლიტიკური ისტორიის კათედრაზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას არ შეუძლია ასწავლოს არც „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია" და არც „XX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორია". თუ რატომ არის მიღებული მოსკოვის მიერ შემოთავაზებული ახალი სასწავლო დისციპლინა — „პოლიტიკური ისტორია" — ზემოთ აღვნიშნეთ და ამჯერად მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება **„საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის" სასწავლო დისციპლინას, ჩვენის აზრით, იგი შექმნილ სიტუაციაში ყველაზე უფრო მისაღებია.** ვფიქრობთ, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების ისტორია XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქართველი სტუდენტობისათვის. ამ სასწავლო დისციპლინის შემოღება განსაკუთრებით საჭიროდ გვეჩვენება დღეს, როცა წარსულის გამოცდილების გააზრება უშუალოდ უკავშირდება ქართველი ერის წინაშე მდგარ უმთავრეს პრობლემას — საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას. დასამალი არ არის, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის სწავლება ბევრ სიძნელესთან იქნება დაკავშირებული. პირველ ყოვლისა. დგება კადრების პრობლემა. ძალზე გაჭირდება სასწავლო პროგრამის, ლექციების კურსისა და სახელმძღვანელოს მომზადებაც. პოლიტიკური ისტორიის (ყოფილი სკკპ ისტორიის) კათედრას ისე აქვს სახელი გატეხილი, რომ ადვილი არ იქნება სტუდენტთა აუდიტორიის ნდობის მოპოვება.

სხვადასხვა მიზეზის გამო სადღეისოდ სპეციალისტთა შორის ყველაზე დიდი მხარდაჭერა „პოლიტიკური ისტორიის" სწავლებას აქვს. ამ მიზეზთა შორის უმთავრესია: 1) „პოლიტიკური ისტორია", როგორც ვთქვით, ძირითადად ისევ სკკპ ისტორიაა, სწორედ ამის გამო „პოლიტიკური ისტორიის" სწავლებას გარდა უშუალოდ მისი მომხრეებისა, მხარს უჭერენ ის პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც დიდ შეურაცხყოფად მიიღეს სკკპ ისტორიის განდევნა უმაღლესი სასწავლებლებიდან და რადგან სკკპ ისტორიის ძველ უფლებებში აღდგენა დღეს უიმედო საქმეა, ამ სასწავლო დისციპლინის მომხრეებიც მხარში ამოუდგნენ „პოლიტიკური ისტორიის" სწავლების მომხრეებს. 2) ყველა სავარაუდო სასწავლო დისციპლინიდან სკკპ ისტორიის ყოფილ ლექტორთათვის „პოლიტიკურ ისტორიაში" ლექციების კითხვა გაცილებით იოლია ამ უკანასკნელის სკკპ ისტორიასთან სიახლოვის გამო, ამავე დროს ნაკლებად მტკივნეულიცაა სკკპ ისტორიის განდევნით შეურაცხყოფილთათვის. რაც შეეხება ათწლეულების მანძილზე „კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული", „არაპროლეტარული", „წვრილბურჟუაზიული", „კონტრრევოლუციური" და ა. შ. პოლიტიკური პარტიების ისტორიის ობიექტურად სწავლებას, ეს დიდ მორალურ კომპრომისს მოითხოვს „მოკლე კურსის" ერთგულთაგან. 3) 1990 წლის სექტემბრიდან მოსკოვი გადაჭრით დადგა „პოლიტიკური ისტორიის" სწავლების დაკანონების პოზიციაზე. ეს კი არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია პროფესორ-მასწავლებელთა ძველი თაობის წარმომადგენელთათვის.

ასეთ სიტუაციაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა და სამეცნიერო საბჭომ ერთი წლით ამოიღო სასწავლო პროგრამიდან „პოლიტიკური ისტორია" (პირველი კურსის ნაცვლად საგნის სწავლება მეორე კურსზე უნდა დაიწყოს). პოლიტიკური ისტორიის კათედრას წინადადება მიეცა დააზუსტოს ახალი სასწავლო დისციპლინის სახელწოდება, შეიმუშაოს პროგრამა, შეადგინოს ლექციების კურსი. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან (1990 წლის სექტემბერი) უკვე საკმაო დრო გავიდა. სასიკეთო ძვრები კი არ შეინიშნება, პირიქით, გაძლიერება იწყო ზოგიერთმა არასასურველმა ტენდენციამ. კერძოდ, მოსკოვში შემუშავებული „პოლიტიკური ისტორიის" სასწავლო პროგრამა, რომელმაც მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები განიცადა და პოლიტიკური ისტორიის კათედრაზე, როგორც ჩანს, საბოლოოდ დამკვიდრდა ან მალე დამკვიდრდება. ეს პროგრამა კი, როგორც აღვნიშნეთ, უვარგისია როგორც მეცნიერული, ისე მეთოდური თვალსაზრისით. იგი არაფრით არ ეხმიანება დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ე. ი. ეროვნული პოზიციიდანაც მიუღებელია. უვარგისი პროგრამით შედგენილი ლექციების კურსი, რაღა თქმა უნდა, უვარგისი იქნება. ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ **„პოლიტიკური ისტორიის" სასწავლო დისციპლინას ჩვენი სტუდენტობა არ მიიღებს,** კვლავ დავდგებით მომხდარი ფაქტის წინაშე.

სკკპ ისტორიის სწავლების გაუქმებიდან პოლიტიკური ისტორიის სწავლების დაწყებამდე განვლილი პერიოდის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ვტრიალებთ **სიცრუის მოჯადოებულ წრეში,** ერთ სიცრუეს ვცვლით მეორით, არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენმა სტუდენტობამ ერთხელ და სამუდამოდ თქვა უარი გაყალბებული ისტორიის სწავლაზე, არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდა „მოკლე კურსის" ეპოქა.

გამოსავლის პოვნა [illegible] ადვილი საქმე არ არის. ამაში სავსებით დავრწმუნდებით ბოლო წლების მოვლენათა მსვლელობის მაგალითზე. ჩვენ მოვლენებს კუდში მივჩანჩალებთ, უკვე წამხდარი საქმის გამოსწორებას ვცდილობთ, ძველსა და დრომოჭმულს კი არ ვანგრევთ, ვალამაზებთ, სიცოცხლეს ვუხანგრძლივებთ, ვატყუებთ ჩვენს თავს, ვატყუებთ სტუდენტობას, მთელ საზოგადოებას. **ნგრევა თვითმიზანი არ არის, მაგრამ ის, რაც ახლის შენებას ხელს უშლის, უნდა მოიკვეთოს.** ჩვენ ბევრი დრო არ დაგვრჩა. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ უფლება სტუდენტურ აუდიტორიაში დაბრუნებისა. თუ ამას ვერ მივაღწევთ, მაშინ უნდა გვეყოს სინდისი და **ზედმეტ ბარგად არ ვეკიდოთ უნივერსიტეტს.**

**ვახტანგ გურული**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ისტორიის კათედრის დოცენტი.**

# საქართველოს სახალხო ფრონტში

ა/წ 19 ნოემბერს შედგა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა. სსფ-ს უნდა განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება ახლად არჩეული უზენაესი საბჭოსადმი. უნდა დაედგინა, თუ როგორი იქნება სსფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და სტატუსი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გარდამავალ პერიოდში.

სსფ-ს თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ნათაძემ აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რაც ახლად არჩეულ საქართველოს უზენაეს საბჭოს გარდამავალ პერიოდში ენიჭება. საჭიროა ყველა ეროვნული ძალების გაერთიანება. საჭიროა სისტემატურად ვითანამშრომლოთ და ვისარგებლოთ საკანონმდებლო ინიციატივით, წარვდგეთ რეკომენდაციებით ახლად არჩეული უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წინაშე. სსფ-ს მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი უნდა იყოს სოციალური; მისგან უმთავრესი კი სოფლის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებით დაკმაყოფილების საკითხი. უნდა გადაწყდეს საქართველოს მოქალაქეობრივი სტატუსის საკითხებიც. ეკონომიკის დარგში, ნედლეულის გატანის ფონზე სსფ უნდა გამოირჩეოდეს ჯანსაღი ეკონომიკური საქმიანობით, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებელი წარმოების შექმნაზე სსფ-მა უნდა იზრუნოს ერის სულიერი და ფიზიკური გაძლიერებისათვის, ისტორიული ტრადიციების შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბატონმა თამაზ გამყრელიძემ აღნიშნა, რომ არ უნდა ვაქციოთ სსფ პარტიად. უნდა იქნას შენარჩუნებული დებულება, რომ სსფ არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, ზეპარტიული ორგანიზაცია და განისაზღვროს მისი დამოკიდებულება პარტიებისადმი. „მე არ მინდა ვიყო პარტიას დამორჩილებული პიროვნება", — თქვა თ. გამყრელიძემ.

ბატონ გოჩა გავაშელს აუცილებლად მიაჩნია, რომ მთელი ძალისხმევა გადატანილ იქნას ადგილობრივ, მუნიციპალური არჩევნებისადმი, იგი თვლის, რომ მუნიციპალური არჩევნები უნდა ჩატარდეს მაჟორიტარული წესით.

ბატონმა შოთა ნადირაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანი მიღწეულია: გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა, თუ მიზანი კომუნისტური პარტიის დამარცხება იყო, იგი მიღწეულია. ეროვნული ძალების გამარჯვება ფრონტის დამსახურებაცაა".

თავისი აზრი გამოთქვეს რეგიონალური ფრონტის წარმომადგენლებმა რუსიკო ქვლივიძემ, ელდარ მამისთვალიშვილმა, თეიმურაზ ქურდაძემ, გელა სულაშვილმა, როსტომ გუთნიაშვილმა. მათ ყურადღება გაამახვილეს ფრონტის რაობისა და მომავალი პოზიციის გამომუშავების აუცილებლობის შესახებ, გამოთქვეს სურვილი ყველა ეროვნული ძალების გაერთიანებისა. კერძოდ, მუნიციპალური არჩევნების ჩატარებისას მათ საჭიროდ მიაჩნიათ რეგიონალური, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება და მის საფუძველზე საერთო ანალიზის გაკეთება.

სიტყვით გამოვიდნენ გურამ ყორანაშვილი, ამირან დოლიძე, ჰენრი კუპრაშვილი, ლევან მესხი. აღინიშნა, რომ საჭიროა საქართველოში არსებული დღევანდელი მდგომარეობის ღრმა ანალიზი. სსფ-მ მხარი უნდა დაუჭიროს უზენაეს საბჭოს და ყოველმხრივ უნდა ითანამშრომლოს მასთან. სიტყვაში გამომსვლელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმას, რომ დასახვეწია ფრონტის მუშაობის სტილი: [illegible] ორგანიზაციული სტრუქტურა; გამომუშავდეს დარბაზის მუშაობის რეგლამენტი, დადგინდეს რეგიონალური და პოლიტიკური [illegible] უფლებამოსილება და მათი შემადგენლობა, დაზუსტდეს კომისიების შემადგენლობა.

დარბაზის სხდომაზე აირჩიეს სამდივნო, მერი ცანავას, ჰენრი კუპრაშვილის, თეიმურაზ ნერკაძის, გიზო როგავას და ამირან დოლიძის შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ რა, გერები ვართ?

**იმის** გამო, რომ გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჩარიცხვა სათანადო რეგულირების გარეშე განხორციელდა, სპეციალისტთა მომზადების სისტემის სრულყოფის მიზნით რესპუბლიკის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგა ფასიანი სწავლების ფორმა. ფაქტიურად, საქართველოში ინსტიტუტის გარეთ არ დარჩენილა არცერთი დადებითნიშნიანი აბიტურიენტი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გარდა.

რით არის გამოწვეული სამედიცინო ინსტიტუტის ეს პოზიცია?

ეს იმითაა განპირობებული, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად გაითამაშა გამოცდების ფარსი, რის შედეგადაც სექტემბერში მოსამზადებელი განყოფილებიდან ინსტიტუტში ჩაირიცხა 517 აბიტურიენტი, რომელთა შორის მრავლადაა ინსტიტუტისა და რესპუბლიკის პასუხისმგებელ მუშაკთა შვილები და ნათესავები. მზადდება აგრეთვე ახალი ფარსი ამავე კატეგორიის აბიტურიენტების დეკემბერში მისაღებად (155 მსმენელი). ისმება კითხვა, თუ ინსტიტუტმა შესაძლებლად ჩათვალა 671 აბიტურიენტის მოსამზადებელი განყოფილებიდან ჩარიცხვა, რომელთა შორის მრავლადაა ჩავრილი აბიტურიენტები, თუ მან შესძლო 1600-მდე აბიტურიენტი მოეშორებინა თავიდან და გაეგზავნა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში (რომელთა შორის 263 დადებითნიშნიანია), მაშინ რა მორალური ან პედაგოგიური პოზიციით უწევს ასე კატეგორიულ წინააღმდეგობას დადებითნიშნიანი აბიტურიენტების ინსტიტუტში ჩარიცხვას? ალბათ იმიტომ, რომ მაშინ ინსტიტუტი დაკარგავს პრივილეგირებულ ფენებზე გათვლილი პრესტიჟული სასწავლებლის სახელს და შესაძლებელი გახდება მშრომელთა, ნაკლებშეძლებული ინტელიგენციის შვილებმაც გაბედულად შეაღონ ინსტიტუტის კარი. როგორც ექიმთა ასოციაციის გაზეთ „თბილისის“ 10 ნოემბრის წერილშია ნათქვამი: „არსებული სიტუაცია ხელს აძლევს ინსტიტუტში მოკალათებულ პიროვნებათა გარკვეულ ჯგუფს, რომ მღვრიე წყალში უფრო ადვილად დაიჭიროს თევზი“. ამიტომაცაა ინსტიტუტი ფასიანი სწავლების სასტიკი წინააღმდეგი. პირადად, ინსტიტუტის რექტორი არჩილ ასათიანი და მიმღები კომისია.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა მარტივად დავსვათ საკითხი: თუ მოსამზადებელი განყოფილებიდან ინსტიტუტში ჩარიცხეს აბიტურიენტები, ჩვენივე თანატოლები, როგორც თავადვე აღიარებენ, ჩვენზე ნაკლებად მომზადებულნი, ჩვენ რა, გერები ვართ?

მოვითხოვთ ჩვენი ჩარიცხვის საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

**დადებითნიშნიანი აბიტურიენტების სახელით:**
**შ. შველიძე**
**ზ. ბეროშვილი**
**ლ. კაკაბაძე**

**რედაქციისაგან:**

**აბიტურიენტთა მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტა, ცხადია, რედაქციის კომპეტენციაში არ შედის. ვფიქრობთ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა გვაცნობებს თავისი პოზიციის შესახებ, რათა მკითხველმა „მეორე მხარესაც“ მოუსმინოს.**

**საჭიროა საჯაროდ იქნას გამოტანილი ის პრობლემები, რაც უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში იჩენს თავს. დადგა დრო, ბოლო მოეღოს იმ არაჯანსაღ ვითარებას, რაც განათლების სისტემაშია გაბატონებული.**

**„საქართველოს“ რედაქცია ამ თემას არაერთგზის დაუბრუნდება...**

# ოცდაოთხი... ოცდაჩვიდმეტი

**მწერალი** დავით ნავროზაშვილი 1937 წელს გაირიცხა გორის პედინსტიტუტიდან. ამავე წლის 10 მაისს დააპატიმრეს, გაასამართლეს და გაუყენეს კატორღის გზებს. საბედნიეროდ, მან ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს და ცოცხალი დაუბრუნდა სამშობლოს. ვთავაზობთ ნაწყვეტს მისი მოგონებიდან „37-ის სისხლი და „ცხედრები“. ნაწყვეტი იბეჭდება შემოკლებით.

ალარაფერი შემორჩა ჩემს ხსოვნას იმ სისხლიანი 24-დან, ალარაფერი. ყველაფერი თან გაჰყვა ბავშვობას. გაქრა, წავიდა. გარდა ერთი შემაზრზენი სურათისა...

— ადექი, შვილო, ადექი, ადექი, ჩემო პატარავ, დაგვაგვიანდება, — მაღვიძებს დედა. მერე კაბის კალთაზე გამომიბამს, თვალების ფშვნეტით ჩამატარებს ერთაწმინდის დაღმართს და ახალქალაქის გავლით ხოვლის ცხრაკილომეტრიან გზას გაუყვება.

ყველა ვიწროებში, გზაჯვარედინებზე თუ მოსახვევში ძაბრისქუდიანი ჯარისკაცები დგანან. ქუდებზე დიდი, წითელი ვარსკვლავები აქვთ დამაგრებული. შავებში გამოხვეულ დედას მკლავზე გადაკიდებულ კალათს უსინჯავენ და უშვებენ.

აჰა, ხოვლეც, მომქანცველი გზის დასასრული. სოფლის ბოლოს დეიდა ნანუა გვეგებება.

— დეიდა მოუკვდეს, ბავშვი როგორ გახვითქულა ოფლში, შენც დალლილხარ, გენაცვალე.

— ჩემს დაღლილობას ვინ ჩივის, გოგო.

— ხომ დამარწმუნე ნოე ქუციევიო...

— ჰო, — შეაწყვეტინა დედამ, — იმისი იმედი მაქვს, თორემ მე აბა რის გამკეთებელი ვარ. ჩვენებური ჯავრიშვილები დაუხვრეტიათ, სოფელში გლოვაა — სახლში მისვლისთანავე დაამპურეს და დამაძინეს, თვითონ კი ამანათის მზადებას შეუდგნენ.

შუაღამისას ისევ მაღვიძებენ. დეიდა პირს მაბანინებს, რომ გამოვფხიზლდე... მერე ხოვლის ბოლომდე გვაცილებს, თან ვიშვიშებს: — რა ვქნა, ისეთი „აბლავებაა“ მატარებელს ვერ გაეკარები. ამიშორე გზა, ამ ბნელ ღამეში ძნელი გასავლელია, მაგრამ ნუ გეშინია, გოგო, გადაივლი მაგ ხოვლე გორას და იქვე სოფელი უფლისციხეა...

ძლივს ავივაკეთ ხოვლე გორა, დედა უცებ შედგა და შორს, უფლისციხის გორებს მიაპყრო მზერა. შორს, შორს წყვდიადში წინ მიდიოდა ადამიანთა გრძელი რიგი ფარნებით ხელში, უკან მეორე რიგი მიუყვებოდა უფარნოდ. ხოლო ამ რიგს მესამე რიგი — ფარნებით...

რაღაცა იცის დედამ, რაღაც საშინელს ელოდება და მთელი სხეულით ცახცახებს, ამ მძიმე განცდებში გადიან წლები. აუტანელი ხდება მძიმე დუმილი და, აი, სიჩუმეს არღვევს და სივრცეს აზანზარებს მწყობრი შაშხანების გრიალი, იქით, მტკვრის გაღმა, შორს, გორებს იქით, წყვდიადში.

— ვაიმე, ძმაო ლუკა! — ამოხეთქავს უცებ დედის გულიდან. მუხლებზე ეცემა და ქვითინებს და, როცა დედის ქვითინს ჩემი ღრიალის ხმა ახშობს, დედა იძულებულია შეწყვიტოს ტირილი და მომეფეროს: — ნუ, ჩემო შვილო, ნუ, ჩემო პატარავ! არა, არა...ბიძაშენი ცოცხალია, ნუ ტირი!... და დილაადრიან ისე მივადექით გორის ციხეს, რომ ხმა, კრინტიც არ დაგვიძრავს...

რა იცოდა საბრალო დედაჩემმა, რომ იმჟამად მისი შვიდი წლის ბიჭუნა, ცამეტიოდე წლის შემდეგ, უკვე ოცს მიახლოებული ჭაბუკი გორში ციხის იმავე საკანში აღმოჩნდებოდა, რომელშიც მისი ძმა იჯდა, რომ მესამე დღეს საყვარელ ძმას კიდევ ნახავდა, შვილს კი ვეღარასოდეს...

და, აი, 1937 წლის სექტემბრის თვეში უკვე ათწელმისჯილი, ბიჭების მოლოცვის შემდეგ, რომ ცოცხალი გადავრჩი, ვზივარ მათ შორის და ჭერის იმ შუაგულს შევყურებ, რომელიც სასწრაფოდ შეურემონტებიათ.

რას შეჰყურებ მაგ ჭერს, ყმაწვილო, — მიახლოვდება ძველი „მენშევიკი“ დიომიდე სტურუა, რომელსაც დამცინავი ღიმილი უთრთის მიმჭკნარ ბაგეზე — რა ზაიდუმლოს ინახავს ეს სახელდახელოდ მოთხუპნული ჭერი, იცი?

— ვიცი...

— ოჰო!.. საიდან იცი?.. აქ, 1924 წლის ოქტომბრის თვეში... ამ საკანში დასახვრეტად გამზადებულნი არ დამორჩილდნენ წასაყვანად მოსულ ბადრაგს და რკინის საწოლებით ამოქოლეს კარები, მაგრამ დამსჯელებმა ამყარეს ჭერი და იქიდან დახვრიტეს. ყველა. ამის შემდეგ აქ საწოლებიც აღარ შემოუტანიათ. არა მარტო ამ საკანში, არამედ საერთოდ ამ ციხეში, — დაასრულა დიომიდემ და კვლავ ირონია გამოეხატა — დედაშენმა ძმა რომ დაიხსნა, შენ ვეღარ გიშველა, ახლა რომ ციხეს დასტრიალებს გუგულივით?! სად არის ის მისი ნოე ქუციევი...

საუბარი კოლია ლორთქიფანიძის წამოწყებულმა სევდიანმა სიმღერის ხმამ დაარღვია:

ოთხკედელშუა ვიტანჯვი,
ვერ ვხედავ არემარეხა.
სადა ხარ, თავისუფლებავ,
ანდა რომელხა მხარეხა?
ლებად მიგია ცემენტი,
საბნად იგივე მხურია,
სიკვდილი მივლის ძვალ და რბილს,
თუმცა, სიცოცხლე მწყურია,

ეს სიმღერა ნელა დაიძრა, მერე აიწია, აგორდა ზღვის ტალღასავით და მთელი ციხე ააგუგუნა, მაგრამ თოფის გრიალმა ჩააქრო, უფრო სწორად, დააცხრო ეს გუგუნი, ტყვიამ კი აფიცრული ფანჯარა გახვრიტა და ჭერიდან ბათქაში ზედ გადმოგვაყარა.

# რატომ ვბუქავთ?

საქართველოში დასრულდა „დიდი ღამე“ — კომუნისტური პარტიის 70 წლიანი დიქტატურა.

მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ეროვნული ძალები.

უზენაესმა საბჭომ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი...

ყოველივე ამას, ბუნებრივია, მოჰყვა ეიფორია, ამ განწყობილების ამსახველი საგაზეთო პუბლიკაციები, რადიო და ტელეგადაცემები.

მაგრამ ეიფორიაც არის და ეიფორიაც.

ძნელად, გაუგებარია ის საზეიმო, ზეაწეული, ლამის გამარჯვებული ტონი, რომლითაც პრესითა და ტელევიზიით გვაუწყებენ ხოლმე — ამა და ამ სამინისტროში, უწყებაში, ინსტიტუტში, დაწესებულებაში დეპარტიზაცია მოხდა ანუ პარტიული (კომპარტიული) ორგანიზაცია გაუქმდაო.

ნეტავ, რატომ წარმოადგენენ ამ ფაქტებს დეპარტირებული დაწესებულებანი რაღაც განსაკუთრებულ, ლამის გმირულ საქციელად?!

გმირობა და „დიდი ამბავი“ მაშინ იქნებოდა, ეს ნაბიჯი მათს ავტორებს ახლა, ხელისუფლებიდან კომპარტიის ჩამოშორების შემდეგ კი არა, მაშინ გადაედგათ, როცა მათ გარკვეულ გაბედულებასთან, „რისკთან“ იყო დაკავშირებული!

ნეტავ, სად იყვნენ ეს ახლანდელი „გმირები“, „გმირი დაწესებულებები“ თუნდაც **სისხლიანი 9 აპრილის შემდგომ პერიოდში?!** ხომ ფაქტია, რომ არცთუ ბევრი ადამიანი გამოვიდა მაშინ იმ იმპერიული ანგარიშწორების შემოქმედი იმპერიული პარტიიდან! სხვადასხვა დაწესებულებათა დეპარტიზაციაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

თქმა არ უნდა, კარგია, ახლა რომ მაინც მიმდინარეობს ეს პროცესი, მაგრამ, ვიმეორებ, იგი „გამარჯვების ყიჟინის“ გარეშე უნდა ხდებოდეს. და, კაცმა რომ თქვას, დეპარტიზაცია-დეპოლიტიზაცია ხომ ამგვარი „ინიციატივების“ გარეშეც გარდაუვლად მოხდება — საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ ოფიციალურად იქნა გაცხადებული, რომ რესპუბლიკაში დაიწყება საბჭოთა სისტემის, სოციალისტური სისტემის დემონტაჟი, და, რასაკვირველია, ეს დემონტაჟი წარმოუდგენელია ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის დეპარტიზაცია-დეპოლიტიზაციის გარეშე.

**ასე რომ, იმას, რაც ლოგიკური, ბუნებრივი პროცესია, ხელოვნურად ნუ გავბუქავთ.**

საერთოდ კი, საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღოს კანონი დაწესებულებების დეპარტიზაცია-დეპოლიტიზაციის შესახებ.

**ფელიქს კოჭიაშვილი**

# საქ. კპ. ცკ.



კარჩაკეტილი ცხოვრებიდან

გამოდით მზეზე!

ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ივერიის“ (1884 წ. № 2) ფურცლებზე გაზეთ „კავკაზიდან“ გადაბეჭდა გ. შჩერბაკოვის წერილი „წარსულის მოგონებიდან“. წერილში მოთხრობილია სათავადო სვანეთის უკანასკნელი მთავრის კონსტანტინე დადეშქელიანის გახმაურებული ტრაგედიის შესახებ.

როგორც ცნობილია, 1857 წელს სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, თავადი გაგარინი, მისი ჩინოვნიკი ილინი და პორუჩიკი არდიშვილი. ეს ფაქტი ფართოდ გახმაურდა არა მარტო იმდროინდელ საქართველოში, არამედ რუსეთის ვრცელი იმპერიისა და საზღვარგარეთის ქვეყნებშიც კი. დადეშქელიანის სახელი რაინდული ელფერით შემოსეს ცარისტული რეჟიმის მოწინააღმდეგეებმა, ხოლო ერთგულ ქვეშევრდომთა თვალში ეს ფაქტი ჩანდა, როგორც „ველური თავისუფლების საზარელი ბოროტმოქმედება“.

ვიდრე გ. შჩერბაკოვის წერილს გავეცნობოდეთ, საჭიროდ მივიჩნიეთ მცირე ისტორიული ექსკურსის გაკეთება, რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ხსენებული ტრაგედიის არსი და მიზეზები.

საქართველოს რუსთაგან დაპყრობის შემდეგ, თვითმპყრობელობის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება და მის ადგილზე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შექმნა. სათავადოები იქცნენ ოლქებად და მათ მთავრებს წინანდელი უფლებები ჩამოერთვათ. რაც შეეხება სვანეთს, აქ რუსული მმართველობის დამყარება დიდხანს არ ხერხდებოდა, რადგან ეს კუთხე გეოგრაფიული მდებარეობის გამო ძნელად მისავალი აღმოჩნდა. ბარონმა როზენმა 30-იან წლებში, „განსაკუთრებული დავალებით“ სვანეთში გაგზავნა ვინმე შახოვსკოი. აი, რას მოგვითხრობს იგი თავისი მოგზაურობის შესახებ — „მთლად წვიმის ნაპირი დაბურულია სქელის ტყით, სადაც ხის ტოტებში ძვრები და მაინც, კიდევ რიგიან გზას ვერ შეხვდებიხარ. ტიტველი, გადმოკიდებული ტყეები გილობავენ გზას, უნდა დაეშო წყლისკენ და წყალ-წყალ იარო. ან არა და უნდა შეუდგე საზარელ მთებს და რთხით იარო, სადაც თუ ერთი ფეხი წაგიცდა სრულიად დაიღუპები!. ამგვარ პირობებში მგზავრებს, იმისდა მიუხედავად, რომ დღეში 10 საათს მოგზაურობდნენ, 3 დღის განმავლობაში მხოლოდ 100 ვერსი გაუვლიათ. ამ გარემოებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო სვანეთის სრულ შეუვალობას გასული საუკუნის 50-იან წლებამდე. თუმცა, პირველ მიმოწერას სვანეთის მთავრები მმართველობასთან იწყებენ 1832 წლიდან. ციოყ დადეშქელიანმა, 1832 წელს, თბილისს მთავარმართებელ ბარონ როზენთან გაგზავნა დედა მცირეწლოვანი ვაჟითურთ, ბექირ-ბეით და „სთხოვა“, რომ რუსეთისათვის დაექვემდებარებინა სვანეთის სამთავრო...

1833 წელს ქალბატონი დადეშქელიანისა უკან დაბრუნდა, ხოლო ბექირ-ბეი მთავარმართებელმა თავისთან დაიტოვა, იმ განზრახვით, რომ ციოყ დადეშქელიანი ფიცს დადებდა რუსეთის ერთგულებაზე და ასეც მოხდა. პოდპოლკოვნიკის, თავადის ბესო გელოვანის, პრაპორშჩიკის, თავადის ალექსანდრე თარხან-მოურავის, თავად ივანე ფალავანდიშვილისა და ერთი მეგრელი მღვდლის თანდასწრებით: ეს ფაქტი სვანეთის სამთავროს რუსეთის „მფარველობაში“ შესვლის ფორმალური განხორციელება იყო.

40-50-იან წლებში საბატონო სვანეთს მთავრობდა კონსტანტინე დადეშქელიანი, რომელსაც გარეგნული, ფორმალური თვალსაზრისით მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა როგორც მეფისნაცვალ ვორონცოვთან, ასევე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გაგარინთანაც. თუმცა, ეს დამოკიდებულება, როგორც ქვემოთ იქნება აღწერილი, მძაფრი შინაგანი ჭიდილით ხასიათდებოდა. ურთიერთობას მოუცილებელ ატრიბუტად ახლდა უთქმელი, ფსიქოლოგიური ბრძოლა და ეჭვით გახელილი თვალებით მზერა. „ველური თავისუფლების“ ფსიქიკამ ვერ იგუა „ოქროს ბორკილი“ და 1853 წელს მიჩუმათებული, გაუმხელელი შეპირისპირება გამოაშკარავდა. კონსტანტინე დადეშქელიანს აღარ დაუფარავს თავისი ზრახვანი.

რუსეთ-თურქეთის (ყირიმის) ომის დაწყებისთანავე, სარდლობის განკარგულებით მობილიზებულ იქნა ქართული მილიცია. სვანეთის მთავარს მოსთხოვეს კარგად შეიარაღებული მებრძოლებით დახმარება. საპასუხოდ დადეშქელიანმა გაგზავნა 40 ცუდად შეიარაღებული კაცი. განაწყენებულმა სარდლობამ ისინი უკან დააბრუნა. სვანეთის მთავარმა ოფიციოზთან დაპირისპირებლად გადადგა პირველი ნაბიჯი, ხოლო შემდგომი სამი წლის მანძილზე, საერთოდ გაწყვიტა რუსებთან ყოველგვარი დიპლომატიური კავშირი. ვორონცოვისა თუ გაგარინის ელჩებს მთავარი დადეშქელიანი დუმილით ხვდებოდა. 1856 წელს დამთავრდა ყირიმის ომი. მარტში კავკასიის მმართველად დანიშნულ იქნა ბარიატინსკი, რომელმაც პეტერბურგიდან ჩამოიტანა ხელმწიფე იმპერატორის უზენაესი სურვილი: აფხაზეთის, სვანეთისა და სამეგრელოს დედოფლისათვის უნდა გადაეცათ დიდძალი ფული და ჯილდო, შემდგომ ამისა, გადაესახლებინათ რუსეთს...

ასეც მოხდა. ეკატერინე ჭავჭავაძე — სამეგრელოს დედოფალი, ხანგრძლივად ცხოვრობდა ჯერ პეტერბურგის მახლობლად, ხოლო შემდგომ პარიზს. თუ როგორ დატრიალდა სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე დადეშქელიანის ბედის კარუსელი, ამას მისი ტრაგედიის უშუალო მხილველის, გაგარინის ექიმის, გ. შჩერბაკოვის წერილიდან შეიტყობს მკითხველი. წერილს გთავაზობთ შემოკლებით. დაცულია ის სტილი და ორთოგრაფია, რომლის მიხედვითაც „ივერიაში“ დაიბეჭდა.

ნ. თორელი

# წარსულის მოგონებიდან

მკვლელობა 1857 წელსა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავადის გაგარინისა, იმის ჩინოვნიკის ილინისა და პორუჩიკის არდიშვილისა — სვანეთის მფლობელის თავად კონსტანტინე დადიშქელიანისაგან.

ხათავადო სვანეთს განაგებდა მისი მფლობელი, როტმისტრი ლეიბ-გვარდიის ყაზახის პოლკისა, თავადი კონსტანტინე დადიშქელიანი, — კაცი, რომელსაც არავითარი განათლება არ მიეღო და რუსულად კი ცუდად ლაპარაკობდა. [illegible] მისი ღვიძლი ძმა ალექსანდრე, პორუჩიკი ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკისა, პაჟების კორპუსში გაზრდილი, როგორც იტყვიან, მთლად გარუსებული. თითონ მფლობელს, გარდა ჩვეულებრივის ჯამაგირისა, [illegible] ჰქონდა კიდევ [illegible] პენსია, ხოლო იმის ძმას კი, მარტო ჯამაგირი. [illegible] ქუთაისის გუბერნატორი სამხედრო სამმართველოდან უგზავნიდა სვანეთში ფულს [illegible] რომლებსაც გზავნიდა ხოლმე [illegible] თავადი ალექსანდრე დადიშქელიანი. თავადი კონსტანტინე და მისი ძმა ხშირად მოდიოდნენ ხოლმე ქუთაისში, ჩამოდიოდნენ თბილისშიაც, სადაც თავადი მ. ს. ვორონცოვი და კნეინა ელისაბედი თავისებურის სიამოვნებით მიიღებდნენ და უალერსებდნენ ხოლმე. ჩემი ნაცნობობა სვანეთის მთავართან იწყობა 1849 წლიდგან, როდესაც მე ვიყავი დანიშნული ადიუტანტად ქუთაისის მაშინდელს სამხედრო გუბერნატორთან, გენერალ ბელიავსკისთან. ეს ნაცნობობა [illegible] მეგობრობად შეიცვალა, ისე რომ, 1852 წელს თავადმა კონსტანტინე დადიშქელიანმა ჩამოიყვანა თავისი უფროსი ვაჟი ქუთაისში და ჩემს [illegible] ჩვენს სახლში [illegible].

[illegible] შშვენიერი კაცი თავადი კონსტანტინე დადიშქელიანი. [illegible] ლურჯის, როგორც ცა, თვალებით, [illegible] ტანისა, წარმოსადეგი [illegible] ჩერქესკა და ქუდი, [illegible] მიე-ცით ამ მმართველს ველურის სვანეთისას განათლება და შეიძლებოდა იმისგან შესანიშნავი მმართველი გამოსულიყო, რადგანაც ბუნებითად ჭკვიანი იყო და არაჩვეულებრივი გამჭრიახობა ჰქონდა. მე ბევრ ქალებს ვიცნობდი, რომელნიც იმისთვის გიჟდებოდნენ; მაგრამ, როგორც ღრმად ღვთის მოყვარე კაცი და შეუმწიკვლელის ზნეობისა, ის იმათ ყურადღებასაც არ აქცევდა.

წარსული აღმოსავლეთის ომი დაიწყო გურიის მხრით, როდესაც ღალატით დაეცნენ თურქნი სამზღვარზედ ჩვენ წმ. ნიკოლოზის სიმაგრეს, 16 ოქტომბერს, 1853 წელს, ვიდრე ჩვენ მოგვივიდოდა მანიფესტი ომის შესახებ. იმ მრავალი ხალხიდგან, რომელიც სამზღვარზედ იდგა, მხოლოდ 40 კაცი გადარჩა. სხვები კი ზოგი მამაცად მოკვდა ბრძოლის ველზედ, ზოგი ტყვეთ წაიყვანეს. [illegible]

თავიანთი საბრძანებელი და, გადასახლდნენ რუსეთში. გამოწვეულნი აგვისტოში, 1857 წელს, სვანეთის მთავარი თავადი დადიშქელიანი და ძმა მისი ალექსანდრე მოვიდნენ თბილისში. მე დაწვრილებით არ ვიცი ის ამბავი, რაგორც ხსნიდნენ მათს საქმეს ყოფა-ქცევას იმების დროს, — მხოლოდ ორისა თუ სამი კვირის შემდეგ ქუთაისის გენერალ გუბერნატორმა მიიღო ცნობა თავად ბარიატინსკისაგან, რომ პორუჩიკი ნიჟე-გოროდის დრაგუნის პოლკისა თავადი ალექსანდრე დადიშქელიანი გადაყვანილია ერთს დრაგუნის პოლკთაგანში, რომლებიც იმყოფება ქ. ელიზავეტგრადში (ეკატერინოსლავის გუბერნიაში), და უკვე გასტუმრებულია იქ თბილისიდამარ. ხოლო სვანეთის მთავარი პოლკოვნიკ ბარტოლომეისთან ერთად მოდის ქუთაისს, რათა გამოიწვიოს სვანეთიდამ თავი-სი ძმები, [illegible]

მიცემული იყო, რომ [illegible] და ამასთანავე სასტი[illegible] ბრძანები, რომ მთა[illegible] შეეტყობინებინა [illegible]

25 ოქტომბერი კვირა დღე იყო დილით, 10 საათზედ, თავადი დადიშქელიანი შემოვიდა ჩემთან გასაგებად, იმის შვილს მოვიყვან გიმნაზიიდამ, თუ არა. და როდესაც დავპირდი მოყვანას, იმან მითხრა რომ წირვაზედ მივდივარო. გამოვედი თუ არა სახლიდამ, შევხვდი გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველს, სტატსკი სოვეტნიკს იზიუმსკის (შემდეგში ქუთაისის გუბერნატორს), რომელმაც მითხრა, რომ თავად დადიშქელიანთან მივდივარ, რომ იგი გაგარინთან წავიყვანოო. მე ვუთხარი, რომ მთავარი სახლში არ იყო და იზიუმსკის ვუთხარი, რომ იმას ნახავს ეკლესიაში, მე კი თვითონ წავედი ქუთაისის გუბერნატორ-თან ნ. ა. ივანოვთან, და, როგორც მივედი იმის სადგომთან, ვნახე, რომ მზად იყო და გენერალ-გუბერნატორთან მიდიოდა. ჩვენ ორივენი ერთად ჩავსხედით ეკიპაჟში და გავსწიეთ თავად გაგარინთან. ზალაში, კაბინეტის წინ ვნახეთ უკვე საგზაოდ მომზადებული კაპიტანი ლიბენის ბატალიონისა თ. მიქელაძე, რომელიც თავად დადიშქელიანს უნდა გაჰყოლოდა თბილისს, რიონის ნავოსნობის უფროსი კაპიტანი სავინიჩი და თარჯიმანი მილიციის პორუჩიკი არდიშვილი. როდესაც უკანასკნელმა მოახსენა გუბერნატორის მოსვლა, თ. გაგარინმა მიგვიწვია ჩვენ კაბინეტში და იქვე უბრძანა გენერალ ივანოვს თ. დადიშქელიანის გაგზავნა იმავე საათში, რადგანაც შიშობდა, ქუთაისში დაეტოვებინა. როგორც ზევით ვსთქვით, ორმოც კაცამდის სვანი ჩამოვიდა, რომელთაც შეეძლოთ რამე ზომები მიეღოთ თავიანთ მთავრის განსანთავისუფლებლად; ხოლო მე მიბრძანა, საავადმყოფოში წავსულიყავ და ავადმყოფებისათვის მეკითხნა, უკმაყოფილონი ხომ არ იყვნენ რითიმე. გენერალ-გუბერნატორის სახლიდამ რომ გამოვედი, მე შევხვდი იქით მომავალს თავად დადიშქელიანს და იზიუმსკის, თუმცა, მე მინდოდა. მეცქირა პირველი მათგანის ლაპარაკისთვის თ. გაგარინთან, მაგრამ რა უნდა მექნა, უნდა შემესრულებინა ბრძანება. დავიქირე ფაეტონი, წავედი საავადმყოფოში. დავათვალიერე პალატები, გამოვკითხე ავადმყოფებს ამბავი და შევედი უფროსი ექიმის სადგომში, რომ მომელაპარაკნა ზოგიერთ ჩემგან შენიშნულ უწესობაზედ, და რადგანაც ის შინ არ იყო, ვუცდიდი სადილობამდის. არ გაუვლია ათ-თხუთმეტ წამს, შემოვარდა სასტუმრო ოთახში საზარელის ყვირილით გენერალ-გუბერნატორის თარჯიმანი აზნაური წერეთელი და დაიძახა: „სად არის დოქტორი, თავადი გაგარინი დაჭრილეს“. შიშით კრესლოდგან წამოვარდი, არ გამოვუძიე, რა ან და როგორ მოხდა და ვკითხე: „თავადმა დადიშქელიანმა მეთქი?“ — დიახ, მიპასუხა იმან. მე იმ წამსვე შევირბინე ერთი ორდინატორის სადგომში, ვსთხოვე საჭირო იარაღი წამოეღო და ორივენი გავქანდით გენერალ გუბერნატორის სახლში. ხიდს რომ გადმოვედი, თითქმის მთელი ქუთაისი ფაცაფუცში იყო: ქუჩაში მოაქროლებენ ცხენებს ყაზახები, ყაზარმებიდამ მორბიან სალდათები, ხალხიც მორბის და ყვირის, რომ სვანები ყველას ხოცენ, ვინც კი იმათ გზაში შეხვდებათო.

ეხლა ვიწყებ იმ საშინელის დრამის აღწერას, რომელიც იმ ნახევარ საათის განმავლობაში მოხდა, როდესაც მე საავადმყოფოს ვათვალიერებდი. მაგრამ ვიდრე იმის აღწერას დავიწყებდე, მე მსურს გავაცნო მკითხველს განსვენებულის თავადის ალექსანდრე ივანეს ძის გაგარინის პატიოსანი პიროვნება.

თავადი ა. ი. გაგარინი ჯერ კიდევ ხულ ახალგაზრდა გვარდიის აფიცერი იყო, როდესაც შევიდა ადიუტანტად თ. ვორონცოვთან, რომელიც ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი იყო და დაჰ-

(დასასრული 30-ე გვ.)

# ჟარსულის მოგონებიდგან

(დასასრული)

ყო იმასთან ამ თანამდებობაზე 20 წლამდის. ოდესაში მან შეირთო პოდეიო, ციმბირში გაგზავნილი დეკაბრისტის ცოლი, რომელიც მოიყვანა კავკასიაში 1844 წ., როდესაც თ. ვორონცოვი ჩამობრძანდა, მაშინ თ. გაგარინს პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა. კარგად აღარ მახსოვს, იმავე წელს, თუ მეორეს — გაგარინის მეუღლე გარდაიცვალა პიატიგორსკში. 1848 წელს ის იყო დანიშნული დერბენტის ქალაქის უფროსად, ხოლო 1850 წელს, როდესაც გენერალ-მაიორობა მიიღო, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად. ამავე წელს იმან შეირთო კნიაჟნა ანასტასია დავითის ასული ორბელიანისა, რომელმაც იმისთანა ბედნიერება მიანიჭა იმის სახლს თავის სიმშვიდით და კარგის ხასიათებით, როგორიც, შეიძლება, თ. გაგარინს თავის დღეშიაც არ გამოეცადა. უნდა გენახათ იმათი ცხოვრება: თ. ა. ი., როგორც ჭაბუკს, თუმცა ძალიან ახალგაზრდაც არ იყო, უყვარდა თავის ცოლი და, როგორც იტყვიან, თითქმის ხელით ატარებდა; სხვა ნაირადაც არ შეეძლო მოჰქცეოდა: — იგი იმისთანა იდეალური, მშვიდი ადამანი იყო, რომ თითქმის ყოველი მცნობი აღმერთებდა. ის ეხლაც ცოცხალია და ჯანმრთელი და მომიტევოს, რომ ნება-დაურთველად მის სურათს ვხატავ და ძველს ჭრილობას კვლავ ვუღვიძებ მის მეუღლის ტრაგიკულს სიკვდილზედ ლაპარაკით.

1854 წელს თ. გაგარინი იყო დანიშნული დივიზიის უფროსად, ხოლო 1857 წელს პირველ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად. ნამდვილი რუსის მებატონე, შვილი თავის დროზედ გამოჩენილის მემუსიკესი თავადი ივანე გაგარინი, სამსახურში გაწვრთნილი მოწაფე თავადის ვორონცოვისა, თავადი გაგარინი ცხოვრებაშიაც ყველასაგან პატივცემული იყო და მართებელის სახლში ისე იყო მიღებული, როგორც შინაური. ახალგაზრდობისას მშვენიერი ყმაწვილი ყოფილიყო და იმ დროსაც ისევ ეტყობოდა უწინდელი სილამაზე. როდესაც მე იმასთან ადიუტანტათ დამნიშნეს (1850 წ.) იმ დროს ძალიან ყურადღებას აქცევდნენ სამხედრო ფორმას; მხოლოდ თ. გაგარინი ყურს არ უგდებდა: გახსნილი სერთუკი, გძელი ნაპოლეონისებური ჟილეტი ზაფხულობით თეთრი და ზამთარში ხავერდისა და გადაკეცილი პერანგის საყელო — ეს იყო იმისი ჩვეულებრივი ტანსაცმელი. და როგორი ოქროს გული ჰქონდა ამ კაცს, როგორი ქცევა გაზრდილის კაცისა, ჯენტლმენისას არ ვიტყვი, ვიტყვი მხოლოდ ნამდვილის რუსის დიდკაცის ქცევა ჰქონდა და აი, ამისთანა კაცი დაიღუპა სრულიად უდანაშაულოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ მართებულობის ბრძანებას ასრულებდა.

ეხლა მე აღვსწერ იმ სცენას, რის დამსწრეც იყო მხოლოდ ერთი იზიუმსკი, რომელმაც ერთი საათის შემდეგ გვიამბო ის საზარელი ამბავი, მაშასადამე, სრულიად მართალი. შევიდა თუ არა თავადი დადიშკელიანი კაბინეტში, თავადმა (თ. გაგარინმა ა. ი. იზიუმსკის პირით, რომელიც ძალიან თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულს (დედა ქართველი ჰყვანდა), გადასცა საქმე; ჯერ უბრძანა გადაეთარგმნათ და წაეკითხათ იმისთვის თავადი ბარიათინსკის მიწერილობა იმის გაგზავნაზედ თბილისში, შემდეგ უთხრა, რომ რადგანაც თ. გაგარინი რამდენიმე საათის შემდეგ ქუთაისითგან მიდის გორდში, ამისათვის განკარგულება უკვე მიცემულია თავადი დადიშკელიანის გაგზავნაზედ პირდაპირ გენერალ-გუბერნატორის სახლიდგან და რომ იმის ნივთებს სასტუმროშივე ჩაალაგებენ, ეკიპაჟი კი, რომლითაც ის წაბრძანდება, ეხლავე ეზოში შემოვა.

ყოველს ხვეწნა-ვედრებაზედ თ. დადიშკელიანის მხრით, რომელსაც ქუთაისში რამდენიმე დღით დარჩენა სურდა, რომ, როგორც ის ამბობდა, მოემზადებინა თავისთვის საჭირო ტანთსაცმელი, რადგანაც ის სვანეთიდგან მარტო ერთის ჩერქესკით მოვიდა, და ამასთანავე გამომშვიდობიყო თავის ოჯახობას — ყველა ამაზედ თ. გაგარინმა გადაწყვეტილი უარი უთხრა.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ შემდეგი სცენა, საჭიროა მოკლე აღწერა კაბინეტისა, რომელშიაც ლაპარაკი იყო. ეს იყო კარგა მოზრდილი გრძელი ოთახი, გალობილი ხალების ფარდებით, ფარდების იქით იყო ტანთჩასაცმელი ოთახი; გალობილთან იდგა დიდი საწერი სტოლი მაუდ-გადაფარებული, კაბინეტის ერთ კუთხეში ბუხარი იყო, სტოლის პირ-დაპირ ზალის კარები. მთელი აღწერილი ლაპარაკის დროს თავადი დადიშკელიანი ბუხართან იდგა, იზიუმსკი საწერ სტოლთან, თავადი გაგარინი კი დადიოდა კაბინეტში წინ და უკან ბუხრიდგან გალობილ ფარდებამდის. იზიუმსკიმ შენიშნა, რომ თავადი დადიშკელიანის მოძრაობაში რაღაც აღელვება სჩანს და რომ იგი წამ-დაუწუმ ხანჯლის ტარზედ ხელს ივლებს, თითქო ამოღება უნდაო. და მიუბრუნდა თ. გაგარინს ფრანციცულად: „გაფრთხილდით, თქვენო ბრწყინვალებავ! თ. დადიშკელიანი მოთმინებიდგან გამოდის, ხანჯალზედ ივლებს ხელს“. თითონაც აღელვებულმა თ. გაგარინმა ამას ყურადღება არ მიაქცია. მოისმა ხმა ეზოში შემომავლის ეკიპაჟისა, თ. გ. დადიშკელიანმა გადაიხედა ფანჯარაში და სწორედ იმ წუთს გენერალ-გუბერნატორის ბედ-იღბალი გადაწყდა. იმ წუთს, როდესაც თავადი გაგარინი მიბრუნდა და იმას ზურგი შეაქცია და გასწია გალობილისაკენ, თ. დადიშკელიანმა თავი გააქნია, მსწრაფლად იძრო ხანჯალი და როგორც ვეფხვი უკანიდგან მივარდა თავის მსხვერპლს (როგორც სხვათა ამ ამბის მცოდნეთა და მომსწრეთაგან გაგვიგონია, ეს ამბავი ისე არ მომხდარა, როგორც ბ. შჩერბაკოვი მოგვითხრობს. ისეთი გმირი, როგორიც თ. დადიშკელიანი იყო, დიდ უკადრისობად ჩასთვლიდა, რომ უკანიდგან დასცემოდა თ. გაგარინს. რედ). და ერთის თვალის დახამხამებაში ჩაუსო ხანჯალი მუცლის მარჯვენა მხარეს თ. გაგარინს; ის ძირს დაეცემა, მაგრამ ამ დროს თ. დადიშკელიანი ხანჯალს გადაიგდებს მარცხენა ხელში, იძრობს ხმალს და დაჰკრამს მხარზედ, გენერლის პაგონი იკავებს ხმალს და მხოლოდ ოდნავ გაჰკრავს მას. იზიუმსკი, რასაკვირველია, ამ ამბით თავ-ზარ-დაცემული, იმ წამსვე სტოლს ქვეშ შეძვრება და მაუდის უკან იმალება — ასე რომ არ ექნა, იმასაც ის დღე მოელოდა. ჯერ არც კი მობრუნებულიყო თ. დადიშკელიანი კარებისკენ, იგრძნო, რომ მხრებში ვიღაცა სწვდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# პოლიტიკური ანეკდოტი

ხალხმრავალ კომპანიაში ყველანი რიგრიგობით ჰყვებიან პოლიტიკურ ანეკდოტებს. ხმაურსა და ხორხოცში გაისმის ვედრება:

— ამხანაგებო, ამხანაგებო! თუ შეიძლება, ცოტა ჩუმად იყავით, მე ხომ ვიწერ.

— მერედა, როგორ ასწრებთ ჩაწერას?

მავედრებელმა ხელი ჩაიქნია და საქმიანი კილოთი ახსნა:

— მე ხომ მხოლოდ ინიციალებს ვიწერ...

* * * *

საუბარი ციხის კამერაში:

— რისთვის ზიხარ?

— სიზარმაცისთვის.

— როგორ თუ სიზარმაცისთვის?

— როგორ და სულ უბრალოდ, ვიჯექი კომპანიაში, სადაც ანეკდოტებს ჰყვებოდნენ. როცა ყველაფერი დამთავრდა, გავიფიქრე: „ახლავე ჩავუშვა იგენი თუ ხვალამდე მოვიცადო?“ უკვე გვიანი იყო და შინ წავედი, მაგრამ დილაადრიან უკვე ამიყვანეს.

* * *

ორი ძმაკაცი ხვდება ერთმანეთს. ერთი მეორეს ეჩურჩულება:

— გაიგე, სტალინის დამარხვაზე 500 ათას მანეთზე მეტი დახარჯულა?

— აფსუს! — აღფრთოვანდა ამის გამგონე კაცი, — ამხელა ფულით ხომ მთელი პოლიტბიუროს დამარხვაც შეიძლებოდა...

* * *

**ავტობუსში** ახალგაზრდა კაცი ხმამაღლა ჰყვება პოლიტიკურ ანეკდოტებს. მასთან მიდის საშუალო ასაკის კაცი და ალერსიანი ხმით, ჩურჩულით ეკითხება:

— თქვენ თუ იცით, რითი განსხვავდებით ამ ავტობუსისაგან? არ იცით? ჰოდა, აგიხსნით. ეს ავტობუსი ახლა გზას განაგრძობს, თქვენ კი მე წამომყვებით.

და ეს კაცი ანეკდოტების მთხრობელს ყბადაღებულ წითელ წიგნაკს უჩვენებს.

ახალგაზრდა კაცი პასუხად სავსებით იდიოტურად იღიმება.

— თქვენ თუ იცით, — რითი განსხვავდებით ჩემგან? არ იცით? ჰოდა, გეტყვით, რომ არც არაფრით განსხვავდებით.

და ისიც დაუძრობს ისეთივე წითელ წიგნაკს.

* * *

**შვეიცარია.** ბერნი. კვირა. 27 მარტი. პასტორი შლაკი და შტირლიცი რესტორანში სხედან. პასტორმა შენიშნა, რომ შტირლიცი ხელებით ჭამს და შენიშვნა მისცა:

— ბატონო შტირლიც, ძეხვი ჩანგლით უნდა ჭამოთ.

— ხმა კადრს მიღმიდან: „შტირლიცმა იცოდა, რომ ძეხვს ჩანგლით ჭამენ, მაგრამ მას ძალიან, ძალიან უნდოდა, რომ ერთი გაელვების მანძილზე დარჩენილიყო იმად, ვინც სინამდვილეში იყო“.

* * *

**ფიქრში** დანთქმული შტირლიცი სამხედრო მოქმედებათა რუკისკენ დაიხარა. მას ძალიან უწევდა გული სამშობლოსკენ.

მიულერი დაცინვით ეკითხება შტირლიცს:

— მეგობარო, სიკეთე ჰქენით და მითხარით, წითელი ტრუსი რატომ გაცვიათ?

შტირლიცი ციებ-ცხელებიანსავით დაიძაბა: „მე რომ წითელი ტრუსი მაცვია, ეს მხოლოდ რუსმა რადისტმა ქალმა კეტმა იცის, მეტი, მგონი, არავინ...“

— შტირლიც, — ფიქრი გააწყვეტა მას მიულერმა, — აჯობებს გამოთვლას შეეშვათ და შარვალი შეიკრათ, თორემ თქვენი ტრუსის ამბავი მალე მთელ აბვერს ეცოდინება.

* * *

**პარტიის** ქალაქკომის პირველი მდივანი ეუბნება საორგანიზაციო განყოფილების გამგეს:

— რას აკეთებ შენა, რას? სინაგოგაში უკვე ნახევარი წელია რაბინი აღარაა, შენ კი არც ინძრევი.

— ვერა და ვერ მოვნახეთ შესაფერისი კანდიდატურა, — თავს იმართლებს საორგანიზაციო განყოფილების გამგე, — ვეძებეთ, ვეძებეთ, მაგრამ არც ერთი არ გამოგვადგა. ან ებრაელები არიან, ან უპარტიოები...

„სობესედნიკი“, № 17, 1990 წ.





ქართველი კაცი,
ქართული ოჯახი
„უსაქართველოდ“?!

გამოიწერეთ გაზეთი
„საქართველო“



ფასი 50 კაპ.
ინდექსი 65447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ყაზბეგის ქ. №17. ტელ.: 29-26-81.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი